

ECTS -ის მომხმარებლის სახელმძღვანელო

ევროპულ კრედიტთა ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა; დიპლომის დანართი

შესავალი

ევროპულ კრედიტთა ტრანსფერის პროგრამა შეიქმნა 1989 წელს Erasmus პროგრამის ჩარჩოებში. იმ დროს ამ სისტემის მიზანი იყო მობილური სტუდენტების მიერ საზღვარგარეთ სწავლების პერიოდის ცნობის გამარტივება კრედიტთა ტრანსფერის სისტემის მეშვეობით. როგორც ტრანსფერული სისტემა ECTS გაერცვლებულია 30-ზე მეტ ქვეყანაში და დანერგილია ათასზე მეტ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ბოლონის პროცესში მონაწილე 40-მა ქვეყანამ ECTS ცნო ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად. მრავალმა ქვეყანამ კანონით მიიღო ECTS ქვეყნის შიგნით კრედიტების დაგროვების სისტემა, სხვა ქვეყნები კი იწყებენ ამ პროცესს. ზოგ ქვეყანაში ECTS აუცილებელი გახდა აკრედიტაციისათვის. 2002 წლის ოქტომბერში, ევროპულ უნივერსიტეტთა ასოციაციის მიერ, ციურისში, კრედიტთა ტრანსფერისა და დაგროვების შესახებ ჩატარებულ კონფერენციაზე, კიდევ ერთხელ დადასტურდა ECTS სისტემის დიდი მნიშვნელობა უმაღლესი განათლებისათვის. ECTS-ს ექნება ძირითადი როლი ეროვნული და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოების შექმნაში. ECTS-ის მსგავსი სქემები იქმნება სხვა კონტინენტებზეც.

ECTS სისტემის სწორი გამოყენება დამოკიდებულია უმაღლესი განათლების სფეროში დასაქმებულ განსხვავებულ პირობებსა და კულტურაში მოღვაწე, ადამიანთა მონდობებაზე.

ამ პირების დასახმარებლად და ECTS სისტემის სწორი და თანმიმდევრული გამოყენებისათვის ევროპის ტერიტორიაზე შემდეგი ნაბიჯები გადაიდგა:

- ეს ინსტრუქცია მომხმარებელთა სახელმძღვანელოდ წარმოდგენილია მოსახერხებელ, ვებ-ფორმაში, რომელიც შეიცავს სშირად დასმულ შეკითხვებსა და მათზე პასუხებს;
- ECTS ძირითადი თვისებების აღმწერი მოკლე ბროშურის შოვნა იოლად შეიძლება, როგორც ინტერნეტში, ასევე ნაბეჭდი სახით;
- შემოდებულია ECTS ფირნიშანი იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათათვის, რომლებიც სწორად იყენებენ ECTS სისტემას ხარისხის ყველა პროგრამაში.
- ECTS/დიპლომის დანართის ინსტრუქციები გაერცვლებულია ევროპაში, რათა დახმარება გაუწიონ დაწესებულებებს ECTS სისტემის დანერგვასა და ECTS ფირნიშნის მიღებაში.

ECTS სისტემის მეშვეობით ადვილდება ყველა სახის სასწავლო პროგრამის გაგება და შედარება სწავლების მეთოდებისა და ხანგრძლივობის მიუხედავად. ეს სისტემა ემსახურება მობილურსა და არამობილურ სტუდენტებს. მისი გამოყენება, კრედიტების დასაგროვებლად, შესაძლებელია როგორც დაწესებულების შიგნით, ასევე ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადასვლისათვის. ECTS ეხმარება ქვეყნებს, ქალაქებს, რეგიონებს, ასევე სხვადასხვა ტიპის დაწესებულებათა შორის მოძრავ სტუდენტებს. სისტემა ითვალისწინებს დამოუკიდებელ სწავლებასა და სამუშაო გამოცდილებას. ამის გამო კარგად ცნობილი აკრონიმი “ECTS” ნიშნავს “ევროპის კრედიტთა ტრანსფერის და დაგროვების სისტემას”.

გამჭვირვალობისთვის მეტად მნიშვნელოვანია დიპლომის დანართი, და იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ECTS სისტემასთან. შესაბამისად, ამ სახელმძღვანელოში განიხილება დიპლომის დანართიც და დიპლომის დანართის ფირნიშნის.

ვიმედოვნებთ, რომ ECTS ახალი სახელმძღვანელო დაგეხმარებათ ჩვენ კი სიამოვნებით მივიღებთ და გაითვალისწინებთ თქვენს კომენტარებს, მიმართულს სახელმძღვანელოს მომავალი გაუმჯობესებისაკენ.

ECTS ძირითადი თვისებები

ECTS კრედიტები

სტუდენტთა დატვირთვა

სწავლების შედეგები და კომპეტენცია

ECTS კრედიტები

ევროპული კრედიტთა ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა (ECTS) სტუდენტებისათვის შექმნილი და სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭირო სტუდენტთა აკადემიურ დატვირთვაზე დაფუძნებული სისტემაა. ეს მიზნები უნდა განიხილებოდეს სწავლების შედეგებისა და კომპეტენციის ტერმინებში.

- ECTS ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვითაც დასწრებული განყოფილების სტუდენტის დატვირთვა წლის განმავლობაში 60 კრედიტს შეადგენს. ევროპული სრული სასწავლო პროგრამის მოცულობა წლის განმავლობაში, დაახლოებით 1500 - 1800 საათს შეადგენს, ამ შემთხვევაში ერთი კრედიტი 25-30 საშუალო საათს უდრის.
- ECTS კრედიტების მიღება შესაძლებელია მხოლოდ საჭირო საშუალოს წარმატებით დამთავრებისა და სწავლის შედეგებისა და მიღწევების შესაბამისი შეფასების შემდეგ. სწავლის შედეგებად ითვლება კომპეტენცია, გამოხატული იმაში რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს ამ ცოდნის გამოყენებით გრძელვადიანი ან მოკლევადიანი სწავლის პროცესის შედეგად.
- სტუდენტთა დატვირთვა, ECTS მიხედვით, არის დრო, რომელიც საჭიროა ლექციებსა და სემინარებზე დასასწრებად, დამოუკიდებელი და კერძო სწავლისათვის, პროექტებისა თუ გამოცდების მოსამზადებლად და ა.შ.
- კრედიტები განაწილებულია სასწავლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის, (როგორცაა მოდულები, კურსები, პრაქტიკა, დისერტაციები და ა. შ.) და ასახავს საშუალოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

როგორ უნდა მოხდეს კრედიტების მიწერა

კრედიტი შეიძლება მიიღოს ყველა ტიპის სასწავლო პროგრამამ, მათი ხანგრძლივობის, შემადგენლობისა თუ ბუნების მიუხედავად. პროგრამები შეიძლება შედგებოდეს ერთწლიანი კურსებისგან ან უფრო მოკლე მოდულებისგან. ისინი უნდა მოიცავდნენ საშუალო პრაქტიკასა და კვლევას. ისინი შეიძლება მიეკუთვნებოდნენ პირველ, მეორე ან მესამე ციკლს. კრედიტების გამოყენება შესაძლებელია, ასევე, ცალკეული კურსებისათვის, როგორცაა მოდულები, რომლებიც არ შედიან სრულ სასწავლო პროგრამაში.

სწორი გზა:

კრედიტთა მიწერა სხვადასხვა კომპონენტებისათვის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისთვის დადგენილი სწავლის შედეგის დასაკმაყოფილებლად. უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში კრედიტთა რაოდენობა 60-ს შეადგენს. შემდეგ უნდა შემოწმდეს კრედიტთა მიწერის სისწორე სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ თავი სტუდენტის დატვირთვა.

ერთი არასწორი გზა: კრედიტების დაკავშირება საკონტაქტო საათებთან

არ არსებობს პირდაპირი კავშირი კრედიტებსა და საკონტაქტო საათებს შორის. მაგალითად, ლექციის ერთი საათისათვის სტუდენტს შეიძლება დასჭირდეს დამოუკიდებელი მეცადინეობის სამი საათი, მაშინ როდესაც 2 საათიანი სემინარისთვის მომზადებამ შეიძლება მოითხოვოს ერთი კვირა. შესაბამისად, ECTS-ის მსგავსი სისტემის მიხედვით სტუდენტთა დატვირთვა არ შეიძლება ეფუძნებოდეს საკონტაქტო საათებს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს საათები სასწავლებლის მიერ გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, მაგალითად, მომუშავე პერსონალის საათების გასაანგარიშებლად.

კიდევ ერთი არასწორი გზა: კრედიტების დაკავშირება სტატუსთან თუ პრესტიჟთან

ECTS კრედიტები ასახავენ სტუდენტის დატვირთვას დროში. ამ კრედიტების მიხედვით ვერაფერს ვიტყვით კურსის სახეზე თუ ლექტორის პრესტიჟზე. მაგალითად, დაწყებითი კურსისათვის შეიძლება მეტი საათი იყოს საჭირო, ვიდრე სპეცკურსებისთვის. თითოეული კურსის მახასიათებლები აღწერილი იქნება საინფორმაციო პაკეტი/კურსის კატალოგში.

ხშირად დასმული შეკითხვები

ყოველი მოსწავლე განსხვავდება. ზოგი სწრაფად სწავლობს, ზოგი კი ნელა. რატომ ეფუძნება კრედიტების სისტემა “საშუალო მოსწავლეს”?

რა თქმა უნდა, სხვადასხვა სტუდენტს განსხვავებული დრო დასჭირდება ერთი და იგივე შედეგის მისაღწევად. მიუხედავად ამისა, რეალურსა და რაციონალურ შეფასებაზე დაფუძნებული პროგრამა დაიცავს ყველა სტუდენტს არარეალური, გადატვირთული თუ

ზედმეტად მარტივი და უინტერესო პროგრამებისგან. ის ეხმარება აკადემიურ პერსონალს რეალისტური პროგრამის შექმნაში.

უნივერსიტეტები კრედიტებს ავტომატურად ცნობენ?

ECTS არ უზრუნველყოფს ავტომატურ აკადემიურ ცნობას. აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი დაწესებულება თვითონ წყვეტს კრედიტების რა რაოდენობაა საჭირო ამა თუ იმ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. კრედიტების ცნობა სავალდებულოა თუ არსებობს წინასწარი სასწავლო შეთანხმება გამომწვევ დაწესებულებას, მიმღებ დაწესებულებასა და სტუდენტს შორის დაფუძნებული Sokrates-Erazmus პროგრამაზე. ECTS ნიშნების ფურცელი და დიპლომის დანართი აადვილებენ ცნობის სწრაფ და ინფორმატულ პროცედურას.

ვალდებულია თუ არა უნივერსიტეტი მიიღოს ECTS კრედიტების მქონე სტუდენტები, რომლებსაც სწავლების გაგრძელება სურთ სწავლის გარკვეული პერიოდის გამოტოვებით?

არა, აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ინსტიტუტი წყვეტს მიიღოს იგი თუ არა. ამის მიუხედავად, სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს მისი წინა სწავლების დაწვრილებით განხილვა. ECTS გამჭვირვალობისათვის მიღებული ზომების შედეგად ამ ინფორმაციის მიღება მარტივია.

არსებობს თუ არა კრედიტთა მინიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებლად უნდა დაგროვდეს აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელ დაწესებულებაში?

ეს საკითხი მთლიანად აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი დაწესებულების გადასაწყვეტია მის მიერ მიღებული დებულებების ჩარჩოებში.

აუცილებელია, რომ ერთი და იგივე მოდული, გამოყენებული ერთსა და იმავე ინსტიტუტში შეიცავდეს კრედიტთა ერთნაირ რიცხვს ყველა სტუდენტისათვის?

დიახ, თუ მოდული ნამდვილად იგივეა, ის შედეგად კრედიტების ერთნაირ რაოდენობას იძლევა, მიუხედავად იმ პროგრამისა, რომელშიც იგი გამოიყენება. შესაძლებელია ერთსა და იმავე მოდულის შესწავლას სხვადასხვა დრო დასჭირდეს, რადგანაც სხვადასხვა სტუდენტი განსხვავებული პროგრამით სწავლობს და გამოირჩევა განსხვავებული მომზადებით და იმით, რა მასალის შესწავლას აპირებს. ეს მახასიათებელი განმარტებული იქნება კურსის აღწერაში, რომელიც შედის საინფორმაციო პაკეტის/კურსის კატალოგში.

შეიძლება აკადემიური პროგრამა 60-ზე მეტ კრედიტს შეიცავდეს წლის განმავლობაში?

გამონაკლის შემთხვევებში, თუ სასწავლო პროგრამა აშკარად შეიცავს ევროპულ 1500/1800 საათზე მეტს, კრედიტთა რაოდენობა შეიძლება აღემატებოდეს 60-ს. ასეთი შემთხვევები კარგად უნდა იქნას დასაბუთებული და ახსნილი საინფორმაციო პაკეტის/კურსის კატალოგში. პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სრულ განაკვეთიან სწავლებას 52 კვირის განმავლობაში (დასვენების დღეების გარეშე), როგორც წესი, 75 კრედიტის დაგროვების საშუალებას იძლევა. კურსის “მაღალი ხარისხი” ან “დიდი ინტენსივობა” არ არის საკმარისი მეტი კრედიტის მისაღებად.

აუცილებელია, რომ სტუდენტმა 60 კრედიტი დააგროვოს წელიწადში, 30 სემესტრში, ან 20 ტრიმესტრში?

დასწრებული სწავლების სტუდენტი, წლის განმავლობაში, აგროვებს 60 კრედიტს, სემესტრის განმავლობაში – 30, და ტრიმესტრში – 20, რადგანაც სასწავლო პროგრამები ამას ითვალისწინებს. წარმატებულმა მობილურმა სტუდენტმა შეიძლება ცოტა ნაკლები ან მეტი კრედიტი დააგროვოს, რაც საზღვარგარეთ მისთვის მისაღები სასწავლო პროგრამის შექმნის სირთულესთანაა დაკავშირებული. სასწავლო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს და ეთანხმებოდეს ასეთ მცირე ცდომილებებს.

მიიღებს თუ არა წარუმატებელი სტუდენტი კრედიტებს იმ საგნებისთვის, რომლებიც ვერ ჩააბარა?

სტუდენტებმა უნდა მიიღონ წარმატებას ჩაბარების დროს და მიიღონ გამსვლელი ქულა, რათა მოაგროვონ კრედიტები. ზოგ შემთხვევაში დაწესებულებას აქვს უფლება გაათავისუფლოს სტუდენტი ამა თუ იმ მოდულში კრედიტების დაგროვებისგან, თუ სტუდენტს წლის განმავლობაში უკვე დაგროვებული აქვს კრედიტთა საკმარისი რაოდენობა. ეს პროცედურა დეტალურად უნდა დადგინდეს.

შესაძლებელია, რომ სტუდენტი, რომელიც სწავლობდა საზღვარგარეთ და იქ ჩააბარა გამოცდები, იძულებული იყოს ჩააბაროს იგივე გამოცდები (საზღვარგარეთ ყოფნისას ან დაბრუნების შემდეგ პირადად ან ელექტრონული ფორმით) თავის უნივერსიტეტში, რომელიც სწავლების იგივე პერიოდს ფარავს?

არა, უცხოეთში სწავლის პერიოდი (გამოცდებისა და შეფასების სხვა მეთოდების ჩათვლით) ცვლის სწავლების შესადარებელ პერიოდს (ანალოგიურად, გამოცდებისა და შეფასების სხვა მეთოდების ჩათვლით), თავის უნივერსიტეტში.

ვალდებულია თუ არა უნივერსიტეტი ცნოს სტუდენტის მიერ წარმატებით დამთავრებული ის კურსები, რომლებიც არ არის მითითებული სასწავლო ხელშეკრულებაში?

არა, უნივერსიტეტს არ გააჩნია ამ სახის ვალდებულება. სტუდენტის მიერ დამთავრებული ყველა კურსი შეტანილი უნდა იყოს სასწავლო ხელშეკრულებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასწავლო

ხელშეკრულება უნდა შესწორდეს და მას თავიდან უნდა მოაწეროს ხელი სამივე მხარემ: საბუთის გამცემმა უნივერსიტეტმა, მიმღებმა უნივერსიტეტმა და სტუდენტმა.

შეიცავს თუ არა ECTS დასაქმებას?

დიახ, ECTS არ შემოიფარგლება მხოლოდ სასწავლო კურსებით. იგი შეიცავს დასაქმებასაც. დასაქმება ECTS კრედიტებში უნდა გამოისახოს სწავლის შედეგებსა და სამუშაო გამოცდილების დროით. კრედიტების მიწერა, ცხადია, უნდა მოხდეს შესაბამისი შეფასების შედეგად.

გააჩნია თუ არა კრედიტები სადოქტორო ციკლს?

დიახ, ECTS გამოიყენება სასწავლო კურსებსა და კვლევებშიც. შესაბამისად ის შეიძლება გამოიყენოს სადოქტორო ციკლშიც. სწავლა, რომელიც მიმდინარეობს სადოქტორო ციკლის განმავლობაში, როგორც ყველა სხვა სახის სწავლება შეიძლება აღიწეროს სწავლების შედეგებითა და სამუშაო დროით ECTS კრედიტებში.

შეგიძლიათ მოიყვანოთ კრედიტთა მიწერის რამდენიმე მაგალითი?

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე სქემატური მაგალითი:

**მაგალითი 1 – პირველი ციკლი (ბაკალავრი) – უპირატესი
(სემესტრული ან ტრიმესტრული სისტემა და კრედიტების მიღებული საბაზისო რიცხვები)**

I წელი	10		10		60
	10		10		
	10		10		
II წელი	20		20		60
III წელი	5	5	10		60
	5	5	10		
სულ					180

**მაგალითი 2 – პირველი ციკლი (ბაკალავრი) – მისაღები
(კრედიტების მიღებული საბაზისო რიცხვები)**

I წელი	20				60
	10		10		
	15		5		
II წელი	20			15	60
	25				
III წელი	10	10		20	60
	10	10			
სულ					180

**მაგალითი 3 – პირველი ციკლი (ბაკალავრი) – მისაღები
(კრედიტების ცვლადი საბაზისო რიცხვები)**

I წელი	16				60
	11				
	9				
	7				
	17				
II წელი	23				60
	9		8		
	13		7		
III წელი	5	14		22	60
	8	11			
IV წელი	21				60
	20				
	19				
სულ					240

კრედიტების მიწერის მოწინავე გამოცდილება გულისხმობს, რომ დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს კრედიტების ჩვეულებრივი ბაზისური რიცხვები (მაგალითად, 5 ან 6) რაც ამარტივებს სხვადასხვა განყოფილებებიდან მიღებული კრედიტების კომბინირებას. უფრო კონკრეტული მაგალითებისთვის მიმართეთ ECTS ფირნიშით დაჯილდოებული დაწესებულებების ვებ-საიტებს.

სტუდენტის დატვირთვა

ევროპაში დამუშავდა უმაღლესი განათლების პროგრამებში სტუდენტთა დატვირთვის რამდენიმე პროექტი. საინტერესო პროექტი იქნა შემოწმებული ევროკომისიის მიერ სოკრატესის პროგრამით მხარდაჭერილ “ევროპაში საგანმანათლებლო სტრუქტურების აწყოების”¹ პროექტის ფარგლებში. პროექტი ფოკუსირდება სწავლის შედეგებზე, ზოგად კომპეტენციასა და საგანთან დაკავშირებულ კომპეტენციასზე. ეს აჩვენებს, რომ სწავლის, სწავლებისა და შეფასების მიდგომებს გააღწევა აქვთ დატვირთვაზე. იგი განსაზღვრავს სტუდენტის დატვირთვისადმი მიდგომის ოთხ საფეხურს.

ოთხი საფეხური

სრულყოფილი მიზნების მისაღწევად, რომლებსაც მივყავართ სტუდენტთა დატვირთვის რეალურ განხილვამდე, უნდა მივიღოთ შემდეგი ზომები:

I. მოდულების/საკურსო ერთეულების შემოღება

არსებობს მოდულირებული და არამოდულირებული სისტემები. არამოდულირებულ სისტემაში თითო საკურსო ერთეულს ექნება კრედიტთა განსხვავებული რაოდენობა, თუმცა ერთი წლის ჯამური კრედიტთა რაოდენობა 60-ია. სამაგიეროდ, მოდულირებულ სისტემაში განსაზღვრულ კურსს, შესაბამისი კრედიტთა რაოდენობა აქვს, მაგალითად 5, ან მისი ჯერადი. მოდულის სამუშაოს მოცულობა ეფუძნება დავალებათა მთლიან რაოდენობას, რომელიც აუცილებლად უნდა შეასრულოს სტუდენტმა. ეს დავალებები განსაზღვრება სწავლის შესაბამისი შედეგების მისაღწევად საჭირო დროის მიხედვით. მაგალითად 5 კრედიტიანი მოდული ტიპური სტუდენტისათვის 125 სამუშაო საათს ითვალისწინებს.

II. სტუდენტთა დატვირთვის შეფასება

თითოეული მოდული შეიცავს რამდენიმე სასწავლო პროცესს. მათი განსაზღვრა შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით შეიძლება:

- *კურსის ტიპები:* ლექცია, სემინარი, კვლევითი სემინარი, სავარჯიშო კურსი, პრაქტიკა, ლაბორატორიული სამუშაო, სწავლა მეთვალყურეობით, წრთვანა, დამოუკიდებელი მეცადინეობა, ინტერნატურა, დასაქმება ან “მოდულაციის არე”, სავლელე პრაქტიკა, პროექტზე მუშაობა და ა.შ.
- *სასწავლო საქმიანობის ტიპები:* ლექციებზე დასწრება, სპეციალური დავალებების შესრულება, ტექნიკური და ლაბორატორიული მუშაობა, ნაშრომების წერა, წიგნებისა და სტატიების კითხვა, სხვისი ნაშრომების კონსტრუქციული კრიტიკა, შეხვედრებზე დასწრება, და ა.შ.
- *შეფასების ტიპები:* ზეპირი გამოცდა, წერიტი გამოცდა, ზეპირი მოხსენება, ტესტი, ნაშრომი, ნაშრომების კრებული (პორტფოლიო), თეზისი, ინტერნატურის ანგარიში, სავლელე პრაქტიკის ანგარიში, სისტემატური შეფასება და ა.შ.

მასწავლებლები ადგენენ ამა თუ იმ მოდულის დასრულებისათვის საჭირო დროს. სამუშაოს მოცულობა უნდა ემთხვეოდეს შესაბამის კრედიტთა რაოდენობას. მასწავლებლებმა უნდა დაამუშაონ ადეკვატური სტრატეგია, რათა მოხერხდეს მოცემული დროის ეფექტურად გამოყენება.

III. შეფასებული დატვირთვის შემოწმება სტუდენტის მიღწევების საფუძველზე.

არსებობს შეფასებული დატვირთვის სისწორის შემოწმების განსხვავებული მეთოდები. ყველაზე ხშირად გამოიყენება კითხვარები, რომლებსაც სტუდენტები ავსებენ სწავლის განმავლობაში ან კურსის დასრულების შემდეგ.

IV. დატვირთვისა და/ან საგანმანათლებლო საქმიანობის კორექტირება.

მონიტორინგის პროცესის ან კურსის შინაარსის განახლებამ შეიძლება მიგვიყვანოს დატვირთვის და/ან სასწავლო პროცესის კორექტირებამდე. მოდულირებულ სისტემაში აუცილებელია სასწავლო მასალის რაოდენობის და/ან სწავლის, სწავლებისა და შეფასების ტიპების შეთანხმება, რადგანაც კრედიტების რაოდენობა, (როგორც ჩვენს მაგალითში: 5 ან ხუთის

¹ დამატებითი ცნობები "აწყოების პროექტის" შესახებ შეიძლება მოიძიოთ ევროპის ინტერნეტ სერვერზე: http://europa.eu.int/comm/education/policies/educ/tuning/tuning_en.html; ან საკოორდინაციო დაწესებულებების: დეუსტოს (ბილბაო, ესპანეთი) უნივერსიტეტის (www.relint.duesto.es/TuningProject/index.htm) ან გრონინგენის (ნიდერლანდები) უნივერსიტეტის (www.let.rug.nl/TuningProject/index.htm) სერვერებზე.

ჯერადი) ფიქსირებულია. არამოდულირებულ სისტემაშიც შეიძლება კრედიტების რაოდენობის შეცვლა, მაგრამ ეს იმოქმედებს სხვა ერთეულებზე, რადგანაც კრედიტების მთლიანი რაოდენობა ფიქსირებულია (მაგ: 30 სემესტრში, 60 წელიწადში და ა.შ.) დატვირთვის კორექტირება საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგი გამოავლენს, რომ დადგენილი დატვირთვა არ შეესაბამება რეალურ დატვირთვას.

სტუდენტის დატვირთვის დასადგენად რეგულირების ორი ფორმა არსებობს. პირველი: მასწავლებელი ადგენს საგანმანათლებლო მოდულს და შესაბამის სამუშაო საათებს. მეორე: სტუდენტი თვითონ აღნიშნავს საათების იმ რაოდენობას, რომელიც მას დასჭირდა პროგრამის გასაგვლედად. ეს დაგეგმვარება დადგენილი და რეალური დატვირთვის შესაბამისობის შესამოწმებლად.

ხშირად დასმული შეკითხვები

რა არის კურსის ერთეულის/მოდულის იდეალური ზომა?

ეს დამოკიდებულია მასწავლებლებზე, მაგრამ სასურველია ერთეულების არც ძალიან შემცირება, (სასწავლო პროგრამის ფრაგმენტაციის თავიდან ასაცილებლად), და არც მათი ხედმეტად გაზრდა (სასწავლო პროცესში შეფერხებების თავიდან ასაცილებლად).

სწავლის შედეგები და კომპეტენცია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწავლის შედეგები კომპეტენციის ის ერთობლიობაა, რომელიც გამოხატავს რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან უნდა გააკეთოს სტუდენტმა მოკლე თუ გრძელვადიანი სწავლების პროცესის დამთავრების შემდეგ. ეს შეიძლება ეხებოდეს სწავლების პერიოდს, მაგალითად, პირველი ან მეორე ციკლის პროგრამას, ცალკეული კურსის ერთეულს ან მოდულს. სწავლის შედეგები განსაზღვრავენ კრედიტის მინიჭების მოთხოვნას. ისინი აკადემიური პერსონალის მიერაა დაწესებული, და საჭირო კრედიტების მინიჭების აუცილებლობას განსაზღვრავს. ინდივიდუალური მოსწავლისათვის საჭირო კომპეტენცია, ცხადია, შეიძლება აღემატებოდეს სწავლის დადგენილ შედეგებს.

კომპეტენცია წარმოადგენს თვისებების, შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების დინამიურ კომბინაციას. ის შეიძლება იყოს საერთო ან სპეციფიკური. სასწავლო პროგრამების მიზანია კომპეტენციისათვის ხელის შეწყობა, პროგრამები შედეგება სხვადასხვა მოდულებისგან/კურსების ერთეულებისგან და ფასდება სხვადასხვა ეტაპზე.

სასწავლო პროგრამები იყოფა ჯგუფებად, რომლებიც უნდა შეესაბამებოდნენ სწავლის განსაზღვრულ შედეგებს (ცოდნას, დაოსტატებას და გაგებას).

უნივერსიტეტებს ეძლევათ რეკომენდაცია აღწერონ თითოეული კურსის ერთეულისათვის სწავლის შედეგები და კომპეტენცია. იხილეთ თავი საინფორმაციო პაკეტი/კურსის კატალოგი, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანათა უმრავლესობაში სწავლის შედეგების აღწერა ახალია უნივერსიტეტების პერსონალისთვის. სწავლის შედეგების აღწერის გამოცდილების გაცვლა სხვადასხვა ენისა და კულტურის პირობებში აშკარად საჭიროა. ამ ინსტრუქციის მკითხველებს პირველ რიგში ვთავაზობთ “აწყოების პროექტს” და ბოლონის სემინარის ვებ-გვერდს: http://www.bologna_edinburg2004.org.uk/library.asp.

ხშირად დასმული შეკითხვები

რა განსხვავებაა კურსის ერთეულების/მოდულების და სასწავლო პროგრამების სწავლის შედეგების მიხედვით აღწერასა და ტრადიციულ, შინაარსის მიხედვით, აღწერას შორის?

განათლების საბოლოო მიზანია მოსწავლეთა მომზადება საზოგადოებაში აქტიური და დადებითი როლისათვის. სწავლის შედეგები ყურადღებას ამახვილებს სწავლის პროცესის შედეგებზე ცოდნის, გაგების და შესაძლებლობების სახით, და არა იმ საშუალებებზე, რომელიც მასწავლებლებმა გამოიყენეს სწავლების პროცესში. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, სწავლის შედეგების გამოყენება ნიშნავს პერსონალსა და შენატანზე ორიენტირებული სისტემიდან სტუდენტსა და შედეგებზე ორიენტირებულ სისტემაზე გადასვლას.

რა კავშირია სწავლის შედეგებსა და კომპეტენციას შორის?

განსაზღვრული სასწავლო პროგრამის ან კურსის ერთეულის/მოდულის სწავლის შედეგები გამოიხატება კომპეტენციის ტერმინებში.

შეგიძლიათ სასწავლო შედეგების ცოდნის სახით გამოხატვის კონკრეტული მაგალითის მოყვანა?

რამდენიმე მაგალითი.

ისტორიის დარგში საგანზე დაფუძნებული კომპეტენციის მაგალითი:

კურსის ერთეულის/მოდულის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა გამოამუშავოს ტექსტებისა და დოკუმენტების კომენტარებისა და ანოტირების უნარი საგნის კანონების შესაბამისად.

ფიზიკის დარგში საგანზე დაფუძნებული კომპეტენციის მაგალითი:

კურსის ერთეულის/მოდულის დამთავრების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს აღწეროს და ახსნას ოპტოელექტრონიკის ძირითადი ხელსაწყოების, ოპტიკური ბოჭკოების, თხევადი კრისტალის ეკრანები, ბი-პოლარული ზედაპირული კვლის ეფექტების ტრანზისტორების და სინათლის დიოდების ფუნქციები.

ზოგადი კომპეტენციის მაგალითი:

კურსის ერთეულის/მოდულის დამთავრების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს ინფორმაციის ეფექტურად მოპოვება, როგორც პირველადი, ასევე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენებით.

ECTS შეფასების სისტემა

შეფასება არის სწავლის პროცესის მნიშვნელოვანი და ძალიან მგრძობიარე ნაწილი. იგი დიდი ხანია გავრცელებულია ევროპის სხვადასხვა პედაგოგიური და კულტურული ტრადიციების მქონე განათლების სისტემებში. საჭიროა შეფასების ეროვნული სისტემების გამჭვირვალობის გაუმჯობესება, ნიშნების, ერთი სისტემიდან მეორეში, შეფერხების გარეშე ტრანსფერისათვის. ეს მნიშვნელოვნად დაეხმარება მობილურ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

ECTS ჩარჩოებში შეფასების სისტემა შეიქმნა სხვადასხვა ეროვნულ სისტემაში მიღებული შეფასების გაგებისა და შედარების გასაადვილებლად. მას არა აქვს ეროვნული სახე და იგი განსაზღვრულია სისტემის შიგნით სტუდენტების ობიექტური შეფასებისათვის. იგი არ შექმნილა ეროვნული სისტემების შესაცვლელად, არამედ საზღვარგარეთ მათი გაგების გასაადვილებლად.

ECTS შეფასების საფუძველია სტუდენტის შეფასება იმის მიხედვით თუ რა პოზიციაზე იმყოფება იგი, სხვა სტუდენტებთან შედარებით, მოცემული დავალების შესრულებისას. ECTS სისტემის მიხედვით, ხდება სტუდენტთა დიდ ჯგუფებში (კოორტებში) კლასიფიკაცია, რაც აადვილებს ნიშნების ახსნას. სწორედ ეს პრინციპია ძირითადი ECTS შეფასების სისტემაში.

ECTS სისტემის მიხედვით, სტუდენტები ორ – ჩაიჭრა და ჩააბარა – ჯგუფად იყოფიან, შემდეგ ხდება ამ ორი ჯგუფის ცალ-ცალკე შეფასება. ჩაბარებულთა ჯგუფი იყოფა ხუთ ქვეჯგუფად: საუკეთესო 10% სტუდენტი იღებს A შეფასებას, მომდევნო 25% – B შეფასებას, შემდეგი 30% – C-ს, შემდეგი 25% – D-ს, და ბოლო 10% კი – E-ს.

ჩაჭრილთა ჯგუფი იყოფა ორ ქვეჯგუფად: **FX** (ჩაიჭრა – გამსვლელი კრედიტის მისაღებად ცოტა მეტი სამუშაო საჭირო) და **F** (მნიშვნელოვანი სამუშაო ჩასატარებელი). ეს აადვილებს სტუდენტთა დიფერენციაციას. ნაწილს დადებითი შეფასების მისაღებად ცოტა მეტი სამუშაო ესაჭიროება. მეორე ჯგუფს კი ნამდვილად არ გააჩნია საჭირო ცოდნა.

ECTS შეფასების სისტემის გრაფიკული გამოსახულება მოყვანილია ქვედა ტაბულაზე:

ECTS შეფასება	წარმატებულ სტუდენტთა პროცენტი	კომენტარი
A	10	აღარ არის საჭირო ისეთი შეფასებების გამოყენება, როგორცაა ფრიადი, კარგი და ა.შ. რადგან ისინი არ იძლევიან ECTS შეფასებათა სკალით მიღებულ პროცენტს
B	25	
C	30	
D	25	
E	10	
FX	--	ჩაიჭრა – ჩასაბარებლად ცოტა მეტი სამუშაო საჭირო.
F	--	ჩაიჭრა – მნიშვნელოვანი სამუშაო ჩასატარებელი

ECTS შეფასების სისტემის დასამკვიდრებლად საჭიროა: არსებით, დეტალურ პირველად მონაცემთა ხელმისაწვდომობა, საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოორტის (შესაფასებელ სტუდენტთა ჯგუფის) შერჩევა შეფასების საფუძვლიანობის მისაღწევად, შესაბამისი

სტატისტიკური მეთოდები და მუდმივი კონტროლი გამოყენებული შკალით მიღებული შედეგების ხარისხზე.

დიფერენციაციის ხარისხი ნიშნებს შორის, დიდად განსხვავდება როგორც სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე, ხშირ შემთხვევაში, ერთსა და იმავე ქვეყანასა და ინსტიტუტშიც კი. ECTS სისტემის გამოყენება ძალიან ხელსაყრელია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ნიშნების დიფერენციაციის ხარისხი მაღალია ადგილობრივ დონეზე. არსებობს ისეთი ინსტანციები, სადაც ადგილობრივი დიფერენციაციის დონე ნაკლებია ვიდრე ECTS შეფასების სისტემაში. ასეთი შემთხვევები ორ კატეგორიად იყოფა: როდესაც ადგილობრივ სისტემაზე დაყრდნობით შესაძლებელია ნიშნების რანჟირების შედგენა და როდესაც ეს არ არის შესაძლებელი. თუ ადგილობრივი სისტემა ამის საშუალებას იძლევა, მაშინ ნიშნები პირდაპირ მოგვცემს შესაბამის ECTS შეფასებას. თუ პირველადი შეფასების მონაცემები საშუალებას არ გვაძლევს ნიშნის დასაწერად, მაშინ მხოლოდ ECTS ჩააბარა ან ჩაიჭრა უნდა იქნას გამოყენებული.

ECTS ნიშნების ვარჯისიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოპორტის ზომას. თუ შეფასებულია სტუდენტთა დიდი ჯგუფი ერთსა და იმავე კურსის ერთეული/მოდულისათვის ერთსა და იმავე დროს სიტუაცია მარტივდება, რადგანა შეფასების შედეგები შეიძლება პირდაპირ იქნას გამოყენებული ECTS რანჟირებისათვის. სტუდენტთა ჯგუფი, რომელიდანაც 30 სტუდენტი მიიღებს გამსვლელ ქულას, ითვლება საფუძვლიანი შეფასებისთვის საჭირო მინიმალურ რაოდენობად, თუმცა უპირატესობა ეძლევა სტუდენტთა უფრო დიდ ჯგუფებს.

იმ ინსტიტუტებისათვის სადაც კოპორტის ზომა არ არის საკმარისი, სხვადასხვა სტრატეგია არსებობს: ერთსა და იმავე სესიაზე განსხვავებულ, მაგრამ დაკავშირებულ მოდულებში მიღებული ნიშნები ერთიანდება, რათა მივიღოთ ადეკვატური ზომის კოპორტა. მაგალითად, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ:

- ერთნაირი დონის რამდენიმე კურსის ერთეულის/მოდულის შეფასებებს ერთნაირი განაწილება აქვთ
- ნიშნების განაწილება ხუთწლიან პერიოდზე იძლევა დაბალანსებულ შედეგებს.

უმაღლესი განათლების დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი სტუდენტები ECTS ნიშნებით და უნდა გაითვალისწინონ სხვა დაწესებულებებში მიღებული ECTS შეფასებები. საჭიროა გარკვეული მოქნილობის გამოყენება, რადგანაც ECTS შეფასების სისტემა შექმნილია განსხვავებული შეფასების სისტემებში გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად და შესაბამისად ვერ მოიცავს ყველა შესაძლო შემთხვევას.

ხშირად დასმული შეკითხვები

სავალდებულოა თუ არა ECTS შეფასებათა შკალის გამოყენება?

შკალის გამოყენება დაბეჯითებით რეკომენდირებულია. მაგრამ მისი გამოყენება არ არის სავალდებულო ECTS ფორნიშნის მისაღებად.

როგორ მოვექცეთ ისეთ სისტემებს, სადაც მხოლოდ ჩაბარება – ჩაჭრის შეფასება არსებობს?

რა თქმა უნდა ამგვარ სისტემებში შეუძლებელია რანჟირება. ასეთ შემთხვევებში ჩაბარების ფაქტი უნდა აღინიშნოს ნიშნის გრაფაში P ან pass-ის ჩაწერით. ასეთი სისტემით მოქმედმა ინსტიტუტებმა აუცილებლად უნდა აღნიშნონ ეს ფაქტი საინფორმაციო პაკეტში/კურსთა კატალოგში, რადგანაც ამას შეიძლება გარკვეული სირთულეები მოჰყვეს განსხვავებული შეფასების სისტემის მქონე ინსტიტუტებში გადასვლისას.

საჭიროა თუ არა ამა თუ იმ კურსში ჩაჭრილ სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებლის მითითება?

ეს სავალდებულო არ არის, მაგრამ გამჭვირვალობა უმჯობესდება, როდესაც ჩაჭრილთა პროცენტული მაჩვენებელი მოცემულია თითოეული შეფასებული კურსისათვის. უმჯობესია, თუ ეს მონაცემები ნიშნების ფურცელში იქნება მითითებული.

რა უნდა იქნას ისეთი ეროვნული სისტემის წარმომადგენელმა, რომელშიც გამსვლელი შეფასებების რაოდენობა ნაკლებია ECTS-ით წარმატებული სტუდენტებისათვის შემოთავაზებულ ხუთ ასოიან შეფასებაზე?

რაც უფრო ახლოს იქნება დაწესებულებათა და ECTS ნიშნები, მით უფრო გაადვილდება შეფასების პროცესი. სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივ შეფასების სისტემებს.

ECTS სიცოცხლის მანძილზე სწავლებისათვის

ყველა მოსწავლე არ არის დასწრებული განყოფილების სტუდენტი, მონაწილეობა რომ მიიღოს სრულ სასწავლო პროგრამებში. იზრდება ზრდასრულ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც ინდივიდუალურ პროგრამებს გადიან, მაგალითად, უწყვეტი პროფესიული განათლების კურსებს. ხალხის დიდი რაოდენობა იძენს ცოდნას უმაღლესი განათლების სისტემის გარეთ, დამოუკიდებელი მუშაობითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით. არ არსებობს მიზეზი იმისთვის, რომ არატრადიციულ მოსწავლეებს ECTS გამჭვირვალობისა და ცნობის პრივილეგიები მოაკლდეთ.

როგორ მოხერხდება ასეთი მრავალმხრივი სწავლების კრედიტების მეშვეობით შეფასება და, თუ ამის სურვილი არსებობს, ოფიციალური კვალიფიკაციის მიღება? ეს შესაძლებელია ECTS ორი ძირითადი პარამეტრის – დატვირთვის და სწავლის შედეგების – გამოყენებით. ყველა სახის სწავლება აისახება სწავლის შედეგებში და ყველა სახის სწავლებას გააჩნია მიზანშეწონილი დატვირთვა, რომელიც კრედიტებში გამოიხატება.

ძირითადი საკითხებია საიმედოობა და სერტიფიცირება: ვინ ადგენს სწავლის შედეგებსა და მისანიჭებულ კრედიტთა რაოდენობას? უმაღლესი განათლების სფეროში პასუხი ნათელია: უნივერსიტეტებსა და უმაღლესი განათლების სხვა დაწესებულებებს აქვთ უფლება განსაზღვრონ და შეაფასონ სწავლის შედეგები და მიანიჭონ შესაბამისი კრედიტები. იქნება ეს ტრადიციულად თუ არატრადიციულად მიღებული განათლება.

უნივერსიტეტებმა უნდა დააკავშირონ მის გარეთ მიღებული სწავლის შედეგი მათ მიერ შესაბამის სასწავლო პროგრამებში მინიჭებულ კრედიტებთან. სხვა სიტყვებით, მათ შეიძლება უარი თქვან ცნობაზე ათვლის წერტილად საკუთარი ოფიციალური პროგრამების გამოყენებით.

უნივერსიტეტთა ავტონომიიდან გამომდინარე, მინიჭებული კრედიტები შეიძლება იცვლებოდეს პროგრამიდან პროგრამამდე. 2004-2005 წლებში დაიწყო საპილოტე პროგრამა, რომელშიც ECTS ფირნიშის მქონე ინსტიტუტებს ერთმანეთში სხვადასხვა ტიპის სწავლებაში კრედიტთა მინიჭების გამოცდილება უნდა გაეზიარებინათ და გამოერკვიათ, შეიძლებოდა თუ არა და რა დონემდე დაოსტატება და კომპეტენცია გამოხატულიყო "ობიექტურ" კრედიტებში მთელი ევროპის მასშტაბით. მაგალითად, უნივერსიტეტთა ჯგუფებმა შეიძლება გადაწყვიტონ ენის ცოდნის გარკვეული დონისათვის კრედიტების ერთი და იგივე რაოდენობის მინიჭების საკითხი.

ECTS სისტემამ შეიძლება უზრუნველყოს სწავლის შედეგებთან დაკავშირებული დატვირთვის დოკუმენტირება ფორმალური, არაფორმალური და არაოფიციალური სწავლებისათვის². არ არის საჭირო სხვა დამატებითი საბუთების შემოღება. ECTS-ის ნიშნების ფურცელი, მაგალითად, შეიძლება იქნას გამოყენებული იმის აღსაწერად, რას მიაღწია მოსწავლემ იმის მიუხედავად, სად მიიღო მან განათლება და როგორ იყო ორგანიზებული სწავლის პროცესი.

ხშირად დასმული შეკითხვები

რა გზით შეიძლება ჩემი უნივერსიტეტისთვის ECTS ცხოვრების მანძილზე სწავლების პროცესში მონაწილეობის მიღება?

ECTS ფირნიშის მქონე ინსტიტუტებს შესაძლებლობა ექნებათ მიმართონ თავიანთ სოკრატეს-ერაზმუსის ეროვნულ სააგენტოებს “ECTS სიცოცხლის მანძილზე სწავლების გრანტის” მისაღებად. გრანტი საშუალებას მისცემს ინსტიტუტებს მონაწილეობა მიიღონ “ECTS სიცოცხლის მანძილზე სწავლების საპილოტე” პროექტში და კრედიტებთან დაკავშირებულ ექსპერიმენტში, რომელშიც განიხილება ფორმალური, არაფორმალური და არაოფიციალური სწავლებით მიღებული შედეგებისა და კომპეტენციის შეფასების პრობლემები. ამ პროექტში მონაწილეობა დაეხმარება დაინტერესებულ უნივერსიტეტებს გახდნენ სასწავლო ცენტრები მათ

² სწავლა სიცოცხლის მანძილზე მოიცავს ყველა სახის სწავლებასა და ტრენინგს ნებისმიერი ტიპის დაწესებულებაში, კომპანიას ან სხვადასხვა პირობებში. მაშინ როდესაც ფორმალური სწავლება მიმდინარეობს საგანმანათლებლო და საწრთვინო დაწესებულებებში და იძლევა აღიარებულ დიპლომს და სხვა ტიპის დოკუმენტებს მიღებული კვალიფიკაციისთვის, არაფორმალური სწავლება მიმდინარეობს ფართოდ გავრცელებული განათლებისა და ტრენინგის ფარგლებს გარეთ და არ ისახავს მიზნად ოფიციალური სერტიფიკატის მიღებას, ხოლო არაოფიციალური სწავლება არის ყოველდღიური ცხოვრების ბუნებრივი შედეგი. ფორმალური და არაფორმალური სწავლებისაგან განსხვავებით არაოფიციალური სწავლება არ წარმოადგენს ინტენსიურ სწავლებას და შეიძლება არ იქნას ცნობილი დაინტერესებული პირების მიერ როგორც მათი ცოდნისა და დახელოვნების გამოხატულება.

რეგიონებში და გაზარდონ პროფესიული ცხოვრებისა და სხვა არატრადიციული საგანმანათლებლო გარემოს გამოცდილების მქონე მოსწავლეთა მიღება.

ECTS მთავარი დოკუმენტები

საინფორმაციო პაკეტი/კურსების კატალოგი

ECTS სტუდენტის ანკეტა

ECTS სასწავლო ხელშეკრულება

ECTS ცნობის ფურცელი

ECTS ნიშნების ფურცელი

საინფორმაციო პაკეტი/კურსების კატალოგი

საინფორმაციო პაკეტი/კურსების კატალოგი ECTS-ის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია. მისი მიზანია სტუდენტებისა და პერსონალისთვის სასწავლო პროგრამების გაგებისა და შედარების გაადვილება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ასევე, მათი აკადემიური და პრაქტიკული ინფორმაციით უზრუნველყოფა.

საინფორმაციო პაკეტი/კურსების კატალოგი არ შექმნილა მხოლოდ მობილური სტუდენტებისათვის. ეს დოკუმენტი უნდა გამოიყენოს ყველა სტუდენტმა. უნივერსიტეტის გადასაწყვეტია თუ რა სახით გამოუშვას ეს დოკუმენტი. სასურველია, რომ დოკუმენტი იყოს ვებ-გვერდზე ისეთი სახით, რომ მისი წაკითხვა არ გაუჭირდეთ გაუარესებული მხედველობის მქონე სტუდენტებს. ეს დოკუმენტი უნდა განახლდეს წელიწადში ერთხელ მაინც. დაწესებულების ვებ-გვერდის მეშვეობით ამ დოკუმენტის წაკითხვა მაქსიმალურად მარტივი უნდა იყოს.

საინფორმაციო პაკეტი/კურსების კატალოგი შეიცავს არამარტო პროგრამათა და მათი კურსების ერთეულებისა და მოდულების სიას და აღწერილობას, არამედ მთელ საჭირო ინფორმაციას, იმისთვის რომ სტუდენტმა გადაწყვიტოს მოცემულ დაწესებულებაში ამა თუ იმ პროგრამის შესწავლა ან აირჩიოს გარკვეული მოდული. ეს დოკუმენტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას სასწავლო პროგრამების შესახებ, და იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისთვის სწავლის პროცესის დაწყებამდე.

საინფორმაციო პაკეტი/კურსების კატალოგი უნდა გამოქვეყნებულ იქნას ადგილობრივ ენაზე და ინგლისურად (ან მარტო ინგლისურად, თუ პროგრამა ინგლისურად ისწავლება) ვებ-გვერდზე და/ან ნაბეჭდი სახით ერთ ან მეტ ბროშურაში. საინფორმაციო პაკეტი/კურსებს კატალოგი უნდა შეიცავდეს საკონტროლო ტაბულაში მოცემულ ყველა პუნქტს:

საინფორმაციო პაკეტი/კურსების კატალოგი: მაგალითები

საინფორმაციო პაკეტის/კურსების კატალოგის საკონტროლო პაკეტი ნაწილი პირველი : ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

- სახელწოდება და მისამართი
- აკადემიური კალენდარი
- აკადემიური ხელმძღვანელობა
- დაწესებულების ზოგადი აღწერა (ტიპისა და მდგომარეობის ჩათვლით)
- აკადემიური ხარისხების პროგრამათა სია
- ჩაბარების/რეგისტრაციის პროცედურები
- უნივერსიტეტის მთავარი წესები (განსაკუთრებით აღიარების პროცედურები)
- დაწესებულების ECTS კოორდინატორი

ნაწილი მეორე: ინფორმაცია აკადემიური ხარისხების პროგრამებზე

A) ზოგადი აღწერა

- მისანიჭებელი კვალიფიკაციები
- მიღების პირობები
- საგანმანათლებლო და პროფესიული მიზნები
- მომდევნო სწავლის ხელმისაწვდომობა
- კურსის საკრედიტო სტრუქტურის დიაგრამა (60 კრედიტი წელიწადში)
- ფინალური გამოცდა (თუ არსებობს)
- გამოცდისა და შეფასების წესები

- ECTS კოორდინატორი ფაკულტეტზე
- B) ინდივიდუალური კურსის ერთეულების აღწერა**
- კურსის დასახელება
- კურსის კოდი
- კურსის ტიპი
- კურსის დონე
- სწავლების წელი
- სემესტრი/ტრისემესტრი
- კრედიტების რაოდენობა
- ლექტორის სახელი
- კურსის მიზნები (სასურველია სწავლების შედეგების და ცოდნის სახით აღწერა)
- წინასწარი პირობები
- კურსის შემადგენლობა
- რეკომენდებული ლიტერატურა
- სწავლების მეთოდები
- შეფასების მეთოდები
- სწავლების ენა

ნაწილი მესამე: ზოგადი ინფორმაცია სტუდენტებისათვის

- ცხოვრების ღირებულება
- საცხოვრებლით უზრუნველყოფა
- კვება
- სამედიცინო დაწესებულებები
- საშუალებების სტუდენტთა სპეციფიკური მოთხოვნებისათვის
- დაზღვევა
- სტუდენტებისათვის ფინანსური დახმარება
- სტუდენტთა ორგანიზაციების ოფისები
- სასწავლო საშუალებები
- საერთაშორისო პროგრამები
- პრაქტიკული ინფორმაცია მობილური სტუდენტებისათვის
- ენის კურსები
- ინტერნატურა
- სპორტული საშუალებები
- გასართობი ღონისძიებები
- სტუდენტთა ასოციაციები

ხშირად დასმული შეკითხვები

უნდა გამოიცეს თუ არა უნივერსიტეტის საინფორმაციო პაკეტის/კურსების კატალოგი ერთ წიგნად?

არა, რადგანაც ინფორმაცია მისაწვდომი უნდა იყოს ყველა სტუდენტისათვის, უნივერსიტეტი თვითონ წყვეტს რა სახით გამოსცეს ეს დოკუმენტი მთლიანად, თუ ნაწილ-ნაწილ. ეს გადაწყვეტილება მიიღება სტუდენტებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების არსებულ წესებზე დაყრდნობით. მაგალითად ზოგი უნივერსიტეტი აქვეყნებს ინფორმაციას უნივერსიტეტის, ფაკულტეტების, და დეპარტამენტების შესახებ ცალ-ცალკე. მთავარია საკონტროლო ტაბულაში მოცემული ყველა პუნქტთან დაკავშირებული ინფორმაცია არსებობდეს და თუ ეს ასეა, ECTS არ განსაზღვრავს გამოქვეყნებული ინფორმაციის ფორმატსა და რაოდენობას.

მისაღებია თუ არა მთელი საინფორმაციო პაკეტის/კურსების კატალოგის მხოლოდ ვებ-გვერდზე განთავსება?

დიახ, რადგანაც ვებ-გვერდზე განლაგებული ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომია. სასურველია დოკუმენტის ძველი ვერსიების შენახვაც, რათა თვალნათლივ ჩანდეს გასული წლების მანძილზე ჩატარებული სამუშაოს მოცულობა. “ინსტრუქციები თუ როგორ უნდა შეიქმნას ვებ-საინფორმაციო პაკეტი/კურსების კატალოგი (XML-ის საფუძველზე) ხელმისაწვდომი იქნება 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე. საერთო ელექტრონული ენის გამოყენება გააადვილებს ვებ ძებნას.

საკონტროლო ტაბულის ყველა ელემენტია ძირითადი თუ არა?

დიახ. საინფორმაციო პაკეტი/კურსების კატალოგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმისათვის, რომ დააკვალიანოს, ინფორმაცია მიაწოდოს და ხელი შეუწეოს ახლანდელ და პოტენციურ სტუდენტებს. როგორც თქვენი ქვეყნიდან, ასევე სხვა ქვეყნებიდან.

რა იგულისხმება “უნივერსიტეტის ძირითად წესებში” (განსაკუთრებით ცნობის პროცედურებში)? ინსტიტუტმა მოკლედ უნდა აღწეროს გამჭვირვალე ცნობისა და თანაბარი მიდგომისათვის საჭირო პროცედურები და თუ სად, როგორ და როდის მუშავდება ECTS დოკუმენტები (სასწავლო ხელშეკრულება და ნიშნების ფურცელი).

საჭიროა თუ არა მთელი პაკეტის თარგმანა თუ სწავლების ენა არ არის ინგლისური?

დიახ. ეს შეიძლება რთულად მოგეჩვენოთ, მაგრამ ECTS მიზანია პოტენციურ სტუდენტთა ხელმისაწვდომი ინფორმაციით უზრუნველყოფა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. წარმოიდგინეთ მასწავლებელთა მდგომარეობა დანარჩენ 30 ქვეყანაში, სადაც საჭირო იქნება მობილური სტუდენტების დასაკვალიანებლად თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაციის გაგება და გაანალიზება. აი, რატომ აქვს საინფორმაციო პაკეტის/კურსების კატალოგის ინგლისურად თარგმანას დიდი მნიშვნელობა. იგივე სიტუაციაში აღმოჩნდებიან უცხოელი სტუდენტები, რომლებსაც სურვილი აქვთ აკადემიური ხარისხის (პირველი, მეორე ან მესამე ციკლის) მისაღებად სწავლა გააგრძელონ თქვენს უნივერსიტეტში ან, ბოლოსდაბოლოს, ვისაც სურს თქვენი ენის შესწავლა. მათ ასევე ესაჭიროებათ ნათარგმნი ინფორმაცია იმისათვის, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღონ თუ სად გააგრძელონ სწავლა. მთელი საინფორმაციო პაკეტის/კურსების კატალოგის ინგლისურ ენაზე თარგმანა ECTS ფორნიშნის მიღებისათვისაცაა აუცილებელი.

ძალიან რთული ხომ არ არის მთელი პაკეტის ყოველწლიური თარგმანა?

პირველი ნაწილი (ინფორმაცია დაწესებულების შესახებ) და ნაწილი მესამე (ზოგადი ინფორმაცია სტუდენტებისათვის) უნდა ითარგმნოს ერთხელ და შემდეგ უნდა მოხდეს მათი განახლება მთელი სასწავლებლისთვის. მეორე ნაწილი A (ზოგადი ინფორმაცია აკადემიური ხარისხის პროგრამების შესახებ) შედგება თითოეული ციკლისათვის (ბაკალავრი/მაგისტრი/დოქტორი) განკუთვნილი რამდენიმე გვერდისაგან და ხშირად არ უნდა შეიცვალოს. ნაწილი მეორე B (ინდივიდუალური კურსების ერთეულების აღწერა) შედგება თითოეული ნაწილისათვის განკუთვნილი მაქსიმუმ თითო გვერდისგან და განახლებასა და თარგმნას საჭიროებს წელიწადში ერთხელ. ამის გაკეთება არ უნდა გაუჭირდეთ შესაბამის ფაკულტეტებს (კათედრებს) და ისინი დაინტერესებულნი უნდა იყვნენ, რომ მათი შემოთავაზებები და საქმიანობა კარგად იყოს წარმოდგენილი.

სავალდებულოა თუ არა ECTS Erasmus პროგრამაში მონაწილე უნივერსიტეტებისათვის?

არა, მიუხედავად იმისა, რომ Erasmus მოითხოვს სრულ და გამჭვირვალე აკადემიურ ცნობას, რისი მიღწევაც, ECTS-ს მეშვეობით, ბევრად მარტივია.

სრული აკადემიური ცნობა ნიშნავს, რომ ადგილობრივი უნივერსიტეტი იძლევა გარანტიას, რომ საზღვარგარეთ სწავლის პერიოდს (გამოცდებისა და/ან სხვა შეფასების ჩათვლით) ცნობს სწავლის შესაძარბელი პერიოდის შემცველად (ასევე, გამოცდებისა და/ან სხვა შეფასების ჩათვლით) ამ უნივერსიტეტში, თუმცა შინაარსი შეიძლება განსხვავებული იყოს. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია კურსის შინაარსის შესახებ იმისთვის, რომ საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში მას შესაბამისი სასწავლო პროგრამის შედგენის შესაძლებლობა მიეცეს. საზღვარგარეთ სწავლის პერიოდის დასასრულს მასპინძელმა უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს წამსვლელი სტუდენტი და მიმღები უნივერსიტეტი ნიშნების ფურცლით (ტრანსკრიპტით), რომელიც ადასტურებს, რომ სწავლის შეთანხმებული პროგრამა დასრულებულია და შეიცავს სტუდენტის მიერ გავლილი კურსების/მოდულების ჩამონათვალსა და მიღწეული შედეგების დეტალებს.

სავალდებულოა თუ არა ECTS ფორნიშნის მისაღებად ECTS შეფასების შკალის გამოყენება?

არა, ECTS შკალის გამოყენება ECTS ფორნიშნის მისაღებად სავალდებულო არ არის, მაგრამ რეკომენდირებულია. ყოველ შემთხვევაში ადგილობრივი შეფასების სისტემის განმარტება აუცილებლად უნდა არსებობდეს.

სტუდენტის ანკეტა

ECTS სტუდენტის ანკეტა შეიქმნა მობილური სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლას დროის გარკვეულ პერიოდს სხვა ქვეყანაში გააგრძელებენ. ის სტუდენტები, რომელთაც უნდათ აკადემიური ხარისხის მიღება სხვა უნივერსიტეტში, ჩარიცხულნი იქნებიან ამ დაწესებულების წესების მიხედვით და შესაბამისად შეავსებენ სხვა სახის ანკეტებს.

სტუდენტის ანკეტა შეიცავს მიმღები უნივერსიტეტისათვის საჭირო ყველანაირ ინფორმაციას. თუ დაწესებულებას ესაჭიროება რაიმე დამატებითი ცნობები წამსვლელი სტუდენტისათვის (მაგ: საცხოვრებელი უზრუნველყოფა, სპეციალური სამედიცინო მომსახურება და ა.შ.) ეს ცნობები მან უნდა მოითხოვოს სხვა გზით.

თავიანთი სტუდენტების საზღვარგარეთ გაგზავნისას დაწესებულებებს შეუძლიათ საკუთარი ფორმის ანკეტის გამოყენება, თუ ის შეიცავს სტანდარტულ ანკეტაში შემავალ ყველა პუნქტს. უმჯობესია ECTS სტანდარტული ანკეტის გამოყენება.

ECTS სტუდენტის ანკეტა: სტანდარტული ანკეტა – დასრულებული მაგალითი.

ხშირად დასმული შეკითხვები

სავალდებულოა თუ არა ECTS-სთვის სტუდენტის ანკეტის გამოყენება?

მობილური სტუდენტებისათვის ECTS სტუდენტის სტანდარტული ანკეტის გამოყენება სასურველია, თუმცა ECTS ფორნიშნის მისაღებად ეს არ არის სავალდებულო, თუ გამოყენებული ფორმა შეიცავს ყველა საჭირო ელემენტს.

სასწავლო ხელშეკრულება

ECTS სასწავლო ხელშეკრულება შეიქმნა მობილური სტუდენტებისათვის, რომლებიც გარკვეული დროის მანძილზე სწავლობენ საზღვარგარეთ, როგორც Erasmus პროგრამაში მონაწილე სტუდენტები.

სასწავლო ხელშეკრულება შეიცავს კურსის იმ ნაწილებისა და მოდულების სიას, რომლის გავლასაც აპირებს სტუდენტი. თითოეული ნაწილისა თუ მოდულისთვის მოცემულია დასახელება, კოდი და ECTS კრედიტთა რაოდენობა.

სასწავლო ხელშეკრულებას ხელს აწერენ სტუდენტი, ადგილობრივი უნივერსიტეტისა და მიმღები უნივერსიტეტის პასუხისმგებელი პირები, რომელიც უზრუნველყოფენ იმას, რომ სტუდენტი ისწავლის იმ კურსებს/მოდულებს, რომლის სწავლაც მას აქვს დაგეგმილი.

სასწავლო ხელშეკრულება უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ საზღვარგარეთ წარმატებით დასრულებული კურსების შესაბამის კრედიტთა ტრანსფერს. ადგილობრივი უნივერსიტეტის კომპეტენტური ორგანო უზრუნველყოფს ამ კრედიტთა ცნობას. სტუდენტს არ სჭირდება თითოეულ პროფესორთან მოლაპარაკება. სასწავლო ხელშეკრულება, ნიშნების ფურცელთან ერთად, უზრუნველყოფს სრულ ცნობას.

რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც სასწავლო პროგრამა შეცვლას საჭიროებს სტუდენტის დაბრუნების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში სასწავლო ხელშეკრულება უნდა შესწორდეს და მას თავიდან უნდა მოეწეროს ხელი მასში მონაწილე სამივე მხარემ: ადგილობრივმა უნივერსიტეტმა, მიმღებმა უნივერსიტეტმა და სტუდენტმა. მარტო ამ გზით შეიძლება სწავლის შედეგების ცნობის უზრუნველყოფა.

სასურველია, სასწავლო ხელშეკრულების პარალელურად, უნივერსიტეტმა ყოველ წამსვლელ სტუდენტს მისცეს “ცნობის ფურცელი”, რომელშიც მითითებული იქნება იმ საგანთა ან მოდულთა სია, რომლისგანაც გათავისუფლდება სტუდენტი ადგილობრივ უნივერსიტეტში საზღვარგარეთ სწავლის დასრულების შემდეგ. ამ გზით ნათელია, რომ საზღვარგარეთ სწავლა ცვლის სწავლის შესაძარბებელ პერიოდს სახლში (გამოცდებისა და/ან შეფასების სხვა

ფორმების ჩათვლით). ცხადია, საჭირო არ არის, რომ სწავლის გამოცდილება საზღვარგარეთ იგივე იყოს, როგორც შინ.

დაწესებულებებს შეუძლიათ სასწავლო ხელშეკრულების თავისებური ვერსიის გამოყენება, თუ ის შეიცავს სტანდარტული ხელშეკრულების ყველა ელემენტს. მაგრამ სასურველია ECTS სტანდარტული ანექტის გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტთა გარკვეული რიცხვი იყენებს სასწავლო ხელშეკრულებას არა მხოლოდ მობილური სტუდენტებისთვის, არამედ თავისივე კრედიტთა დაგროვების მოსაწესრიგებლად. ყოველი სემესტრის ან წლის დასაწყისში სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება. ასეთნაირად ხდება კონფლიქტის თავიდან აცილება, როდესაც სტუდენტს აქვს საგნის არჩევის უფლება. ეს იძლევა იმის გარანტიას, რომ სტუდენტი ირჩევს იმ საგანს, რომელიც აკმაყოფილებს სასწავლო პროგრამას.

ECTS სასწავლო ხელშეკრულება: სტანდარტული ფორმა – დასრულებული მაგალითი

ECTS ცნობის ფურცელი: სტანდარტული ფორმა – დასრულებული მაგალითი

ხშირად დასმული შეკითხვები

სავალდებულოა თუ არა სასწავლო ხელშეკრულების გამოყენება ECTS –სთვის?

დიახ, სავალდებულოა. ასევეა ECTS ფირნიშის მისაღებად.

ნიშნების ფურცელი

ECTS ნიშნების ფურცელი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც აისახება სტუდენტის საქმიანობა გარკვეული დროის მანძილზე. იგი ასევე შეიცავს კურსების ერთეულებისა და მოდულების ჩამონათვალს, თითოეული მათგანისათვის მიღებული კრედიტების რაოდენობას, ადგილობრივ შეფასებებს და სასურველია შეიცავდეს შესაბამის ECTS შეფასებებსაც. ამ დოკუმენტში აისახება როგორც სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაოს მოცულობა, ასევე მიღწევათა ხარისხი.

ნიშნების ფურცელი გამოიყენება ორ შემთხვევაში: 1) როდესაც სტუდენტების საზღვარგარეთ გამგზავრებად ადგილობრივი უნივერსიტეტი აგზავნის ნიშნების ფურცელს მასპინძელ უნივერსიტეტში, სადაც ჩამოთვლილია სტუდენტის მიერ გაედილი საგნები; და 2) როდესაც მიმღები უნივერსიტეტი აგზავნის ჩანაწერთა ასლს ადგილობრივ უნივერსიტეტში ჩამოსული სტუდენტების მიერ სწავლის დამთავრების შემდეგ.

ნიშნების ფურცელი წარმოადგენს ყველა სახის სასწავლო პროცესის აღწერის საშუალებას. იგი აკადემიური ცნობის ძირითადი ინსტრუმენტია. შესაბამისად ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა თუ ვინ არის პასუხისმგებელი მის შედგენაზე. დაწესებულებებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ნიშნების ფურცლის გამოყენებისა და ნიშნების ცვლილების პროცესისათვის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გავარჯიშებას.

ყველა, არა მარტო მობილური, სტუდენტის მიღწევები უნდა იყოს ერთიან კომპიუტერიზებულ სისტემაში. ეს შესაძლებელს გახდის ყველა კურსდამთავრებული სტუდენტის დიპლომის დანართში ECTS ნიშნების ფურცლის ჩამატებას.

დაწესებულებებს აქვთ უფლება გამოიყენონ ნიშნების ფურცლის თავისებური ვერსია, თუ იგი შეიცავს სტანდარტულ ვარიანტში შემავალ ყველა ელემენტს. თუმცა უმჯობესია ECTS სტანდარტული ნიშნების ფურცლის გამოყენება.

ECTS ნიშნების ფურცელი: სტანდარტული ფორმა – დასრულებული მაგალითი

ხშირად დასმული შეკითხვები

რა განსხვავებაა ნიშნების ფურცელსა და დიპლომის დანართს შორის?

დიპლომის დანართი უკავშირდება აკადემიურ ხარისხს/ კვალიფიკაციას. იგი აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტია. ის ხარისხის მთელ პროგრამას მოიცავს (პირველ, მეორე ან მესამე ციკლს), გაიცემა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ფორმატში და ასახავს აკადემიური ხარისხის მისაღებად ჩატარებულ ყველა სამუშაოს. ამ მხრივ დიპლომის დანართი წარმოადგენს ყველა ნიშნების ფურცლის შემადგამებელ დოკუმენტს. კარგია, თუ დიპლომის დანართს 4.3 პუნქტის სახით ჩამატება ECTS საბოლოო ნიშნების ფურცელი.

დიპლომის დანართის ფორმატი დადგენილია ევროპის კომისიის, ევროპის საბჭოსა და UNESCO-ს მიერ და დამტკიცებულია ბოლონის პროცესში მონაწილე ქვეყნების მიერ.

Erasmus სტუდენტის ქარტია

Erasmus სტუდენტის ქარტია ერთ გვერდიანი დოკუმენტია, რომელიც ECTS/დიპლომის დანართის მრჩეველების მიერ შეიქმნა. მასში ნათლადაა ახსნილი Erasmus სტუდენტის უფლებები და მოვალეობები.

ქარტია ეფუძნება ECTS სასწავლო ხელშეკრულებასა და ნიშნების ფურცელს. ECTS დოკუმენტების სწორი გამოყენება იძლევა იმის გარანტიას, რომ მობილური სტუდენტი მიაღწევს სრულ აკადემიურ ცნობას.

სასურველია ქარტიის ასლის ყველა სტუდენტისთვის დარიგება, რათა ისინი სრულად იყვნენ ინფორმირებული რა ელით მათ როგორც Erasmus სტუდენტს და, აგრეთვე, მათი მოვალეობების შესახებ საზღვარგარეთ გატარებული სწავლის დროის სრული ცნობის მისაღწევად.

ECTS-ს პასუხისმგებელი პირები

ECTS დაწესებულებების და დეპარტამენტების კოორდინატორები
ECTS/დიპლომის დანართის მრჩეველები
ხშირად დასმული შეკითხვები

ECTS დაწესებულებების და დეპარტამენტების კოორდინატორები

დაწესებულებებმა უნდა დანიშნონ ECTS დაწესებულებისა და დეპარტამენტების კოორდინატორები თითოეული შესაბამისი დეპარტამენტისა თუ ფაკულტეტისთვის.

თუმცა დაწესებულებისა და დეპარტამენტის კოორდინატორის ფუნქციები განსხვავებული იქნება სხვადასხვა დაწესებულებაში, მათი ძირითადი მოვალეობები ასეთია:

- ECTS დაწესებულების კოორდინატორი თვალყურს ადევნებს დაწესებულებაში ECTS კრედიტთა ტრანსფერისა და დაგროვების პროცედურებს და მათ სწორ შესრულებას;
- იგი, დეპარტამენტების კოორდინატორებთან ერთად, პასუხისმგებელია საინფორმაციო პაკეტის/კურსების კატალოგის მომზადება-გამოცემაზე და გავრცელებაზე
- ECTS დეპარტამენტის კოორდინატორი შუამავალი პირია სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის დეპარტამენტის ან ფაკულტეტის შიგნით. მას, დეპარტამენტის დონეზე, ეხება ECTS-ს პრაქტიკული და აკადემიური ასპექტები. მან უნდა უზრუნველყოს პოტენციურად მობილური სტუდენტები პარტნიორ დაწესებულებათა საინფორმაციო პაკეტებით/კურსების კატალოგებით. ასევე უნდა გააკონტროლოს სტუდენტების მიერ სტუდენტის ანკეტის ფორმის და სასწავლო ხელშეკრულების, ანკეტის სწორი შევსება და ის როგორ ესმით მათ აკადემიური ცნობის პროცედურა.

მან უნდა უზრუნველყოს საზღვარგარეთ მიმავალი და იქედან, სწავლის დასრულების შემდეგ, ჩამოსული სტუდენტები შესაბამისი ნიშნების ფურცლით.

დაწესებულების კომპეტენციაში შედის დაწესებულებისა და დეპარტამენტის კოორდინატორებს შორის მოვალეობების განაწილება. შესაბამისად მათივე გადასაწყვეტია, თუ ვისი ხელმოწერა იქნება აუცილებელი შესაბამის ECTS დოკუმენტებზე: იქნება ეს ანკეტა, სასწავლო ხელშეკრულება თუ ნიშნების ფურცელი. ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს შედგენილი ისე, რომ იძლეოდეს გამჭვირვალობისა და ვარგისობის გარანტიას.

ხშირად დასმული შეკითხვები

აუცილებელია თუ არა კოორდინატორი სასწავლო პერსონალიდან იყოს?

ეს დაწესებულების გადასაწყვეტია. კოორდინატორებს უნდა ჰქონდეთ უფლება და თავიანთი დანიშნულების ეფექტურად შესრულების შესაძლებლობა.

შეუძლია თუ არა ერთ პიროვნებას ორივე მოვალეობის შესრულება?

დაახ, ამ გადაწყვეტილებას დაწესებულება და დეპარტამენტები იღებენ. ალბათ, ეს უფრო პატარა უნივერსიტეტებისათვის იქნება ხელსაყრელი.

ECTS/დიპლომის დანართის მრჩევლები

ECTS/დიპლომის დანართის მრჩევლები უნივერსიტეტებს ხელს უწყობენ ECTS-სა და დიპლომის დანართის გამოყენების პრაქტიკის დანერგვაში. ისინი ასევე ჩადიან სხვა უნივერსიტეტებში. მათი რჩევების საფუძველზე ხდება უნივერსიტეტების ECTS და დიპლომის დანართის ფირნიშების მიღება და ECTS-ის გამოყენება კრედიტების დაგროვებისა და სიცოცხლის მანძილზე სწავლებისათვის. მრჩევლები უმაღლესი განათლების მუშაკები არიან, რომელთაც აქვთ გამოცდილება ამ დარგში: მათ შეუძლიათ თანმიმდევრული რჩევები მისცენ უმაღლესი განათლების თანამშრომლებს იმის დამატებით, რასაც იძლევიან სამინისტროები, ეროვნული სააგენტოები, რექტორთა საბჭოები, ENIC/NARIC და ა.შ.

ECTS/დიპლომის დანართის მრჩევლები წარმოადგენენ ბოლონის პრომოუტერთა გუნდის ნაწილს, რომელიც დაარსებულია ყოველ ქვეყანაში ბოლონის პროცესის ისეთი ასპექტების დანერგვისათვის რჩევების მისაცემად, როგორცაა ხარისხის უზრუნველყოფა, სასწავლო გეგმების რეფორმა და აკადემიური ხარისხებისა და სწავლის პერიოდების ცნობა.

თუ თქვენ რამე რჩევა დაგჭირდათ ECTS და დიპლომის დანართთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით რომელიმე ECTS/დიპლომის დანართის მრჩეველს.

ECTS ფირნიშანი: კრიტერიუმები და განცხადების პროცედურა

ECTS ფირნიშნის კრიტერიუმები

ECTS ფირნიშნის განცხადების შეტანის პროცედურა

ECTS ფირნიშნის მფლობელთა 2003 წლის 1 ნოემბრის შერჩევის შედეგები

ECTS ფირნიშნის განცხადების ფორმა

ECTS ფირნიშნის მქონე დაწესებულებათა სია

ECTS ფირნიშნის კრიტერიუმები

ECTS ფირნიშანი შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ იმ დაწესებულებებს, რომლებიც სწორად იყენებენ ECTS-ს აკადემიური ხარისხის ყველა პროგრამაში. ბოლონის პროცესში მონაწილე ყველა ქვეყნის უნივერსიტეტებმა შეიძლება მიმართონ ECTS ფირნიშნის მისაღებად. სხვა ქვეყნებიდან შემოსული განცხადებების განხილვა არ გამოირიცხება, მაგრამ მათთვის ფირნიშნის მიღება მოცემულ ეტაპზე გარანტირებული არ არის.

ფირნიშნის მისაღებად საჭირო ნაბიჯები:

- დაწესებულებამ საინფორმაციო პაკეტი/კურსების კატალოგი უნდა განათავსოს ვებ-გვერდზე ადგილობრივ ენაზე და ინგლისურად (ან მხოლოდ ინგლისურად, თუ პროგრამის სწავლების ენა ინგლისურია); თუ რამე ინფორმაცია არ არის ვებ-გვერდზე ის უნდა არსებობდეს დაბეჭდილი სახით.
- დაწესებულებამ უნდა სწორად გამოიყენოს ECTS კრედიტები და დაგვანახოს, რომ გაანაწილა ისინი სტუდენტის დროის ერთეულებში გაზომილი დატვირთვის შესაბამისად;
- იგი ვალდებულია სწორად გამოიყენოს სხვა ECTS დოკუმენტებიც (სასწავლო ხელშეკრულება, ნიშნების ფურცელი).

განცხადებები, რომლებიც არ შეიცავენ ECTS ფირნიშნის კრიტერიუმებში შემავალ ყველა დოკუმენტს, არ განიხილება.

მოწოდებული ინფორმაცია და მაგალითები, დამოუკიდებელი ექსპერტების დახმარებით, განიხილება ევროპის კომისიის მიერ. იმ დაწესებულებებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნას, მიეცემათ ECTS ფირნიშანი და მათი სია გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე. ამ ფირნიშნის მიღება დადებითად იმოქმედებს დაწესებულების სტატუსზე და იმაზე მეტყველებს, რომ იგი საიმედო პარტნიორია ევროპისა და საერთაშორისო დონეზე. ECTS ფირნიშნის მიღება მეტ

უნივერსიტეტს მისცემს უფლებას ECTS სიცოცხლის მანძილზე სწავლების პროექტში მონაწილეობის მისაღებად.

ფირნიშანი ძალაში იქნება სამი სასწავლო წლის მანძილზე და გაკონტროლდება ECTS/დიპლომის დანართის მრჩეველების მიერ. თუ მოთხოვნები არ შესრულდება დაწესებულებას ჩამოერთმევა ECTS ფირნიშანი. ჩამოერთმევის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნება კომისიის ვებ-გვერდზე.

ECTS ფირნიშნის მისაღებად საჭირო პროცედურები

ECTS ფირნიშნის მისაღებად საჭირო განცხადების ფორმა

ECTS ფირნიშნიანი დაწესებულებების სია

განცხადების მიღების ყოველწლიური ვადა: 1 ნოემბერი

2003 წ. 1 ნოემბრის ECTS ფირნიშნის მისაღებად ჩატარებული პირველი შერჩევის შედეგები

განცხადება შემოიტანა 91 მაძიებელმა

ავსტრია 4

ბელგია 15

ბულგარეთი 1

კვიპროსი 1

ჩეხეთის რესპუბლიკა 4

გერმანია 5

დანია 3

ესტონეთი 4

ესპანეთი 4

ფინეთი 15

საფრანგეთი 2

უნგრეთი 1

ისლანდია 1

იტალია 4

ლიტვა 1

ნიდერლანდები 3

ნორვეგია 2

პოლონეთი 5

პორტუგალია 5

რუმინეთი 2

შვეცია 3

სლოვაკეთის რესპუბლიკა 1

თურქეთი 3

დიდი ბრიტანეთი 2

არჩეული დაწესებულებები: 10

არჩეული იყო 3 ბელგიური, 2 ფინური და თითო-თითო დაწესებულება ასეთი ქვეყნებიდან: ავსტრია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია და ესპანეთი. ამ დაწესებულებებმა კარგი შთაბეჭდილება შეუქმნა შემფასებელ ექსპერტებს იმით, რომ მათში ECTS კარგად დაინერგა პირველი და მეორე ციკლის ყველა პროგრამაში, საინფორმაციო პაკეტში/კურსების კატალოგში ადგილობრივ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი სახით ან ვებ-გვერდზე) და ცნობის დოკუმენტებში, როგორცაა სასწავლო ხელშეკრულება, ნიშნების ფურცელში და ცნობის დასაბუთებაში.

ეს დაწესებულებები მოიცავს უნივერსიტეტებს და გამოყენებითი მეცნიერებების დაწესებულებებს: პოლიტექნიკურ სასწავლებლებს, კოლეჯებს და ტექნიკურ უნივერსიტეტებს. უფრო მეტიც, როგორც დიდ, ასევე პატარა დაწესებულებებს შეუძლიათ განცხადების შეტანა შეფასებაზე. ეს აჩვენებს, რომ ფირნიშნის მიღება შეუძლია რეალურად ყველა უმაღლეს სასწავლებელს

წარუმატებელი შეფასების ყველაზე უფრო ხშირი მიზეზები

ფირნიშნის მფლობელთა დაბალი რიცხვი (10) შეიძლება გასაკვირი იყოს, მაგრამ მიზეზები, რომლის გამო ითქვა უარი ფირნიშნის გაცემაზე, ოპტიმიზმს ბადებს: ბევრმა ინსტიტუტმა არასრული განაცხადები წარმოადგინა, რაც შეიძლება ადვილად გამოსწორდეს შემდგომი რაუნდისათვის. არ იყო წარმოდგენილი კურსის კატალოგი ორივე ენაზე, სწავლების პერიოდის

ცნობა სრულად და შესაბამისად, კრედიტების სრულყოფილად გამოყენება – აი, იმ საკითხთა არასრული სია, რომლის გამო სასწავლებლებს უარი ეთქვა ფირნიშნის მინიჭებაზე. მოთხოვნები და განაცხადის ფორმა ნათლად არის ჩამოყალიბებული კომისიის რამდენიმე დოკუმენტში (ფირნიშნის განაცხადის ფორმა და ECTS-ს ძირითადი მახასიათებლების ბროშურა შეგიძლიათ ნახოთ კომისიის ვებ-გვერდზე). ეს ნიშნავს, რომ ზემოდასახელებულ სასწავლებლებს ადვილად შეეძლოთ მიეღოთ ფირნიშანი, რჩევები ზუსტად რომ შეესრულებინათ.

ECTS ფირნიშნის მქონე დაწესებულებების სია

- 29283 Technische Universitaet Graz, AT
- 28084 Faculte Universitaire des Sciences Agronomiques de Gembloux, BE
- 103466 University of Atqerp, BE
- 27910 Universiteit Gent, BE
- 38034 Universidad de Deusto, ES
- 29323 Arcada – Nylands Svenska Yrkeshogskola, FI
- 29580 Lapeenranta University of Technology, FI
- 29646 Hogskolen i Agder, NO
- 43414 Agricultural University of Wroclaw, PL
- 29154 University of Aveiro, PT

ხშირად დასმული შეკითხვები

დატოვებს თუ არა ჩემს ინსტიტუტს ფირნიშნის გარეშე განაცხადის რამდენიმე პუნქტის არასრული შევსება?

თქვენ ზუსტად უნდა შეავსოთ კითხვარი სრულად, რადგან ყოველი პუნქტი, მოცემული მასში, საჭიროა სტუდენტისა და მისი პარტნიორებისათვის როგორც თქვენს ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

თუ ერთ-ერთი აკადემიური ხარისხის პროგრამებიდან არ არის შეტანილი საინფორმაციო პაკეტი ში/კურსების კატალოგში, დარჩება თუ არა ჩემი ინსტიტუტი ფირნიშნის გარეშე?

დიახ, ამ შემთხვევაში სრული განაცხადი უნდა შეიტანოთ მომავალ წელს.

ჩემი დაწესებულების ზოგიერთი ქვეგანყოფილი პასიურია სტუდენტთა მობილობის საქმეში, დარჩება თუ არა ჩემი ინსტიტუტი ფირნიშნის გარეშე?

არა, არ არის აუცილებელი ყველა ქვეგანყოფილება იყოს აქტიური სტუდენტთა მობილობის საქმეში. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ფირნიშნის მისაღებად და წარადგინოთ საბუთები იმ ქვეგანყოფილებისათვის, რომლებსაც აქვთ სტუდენტთა მობილობა.

დიპლომის დანართი

დიპლომის დანართი: სტანდარტული ფორმა – შევსებული მაგალითი

დიპლომის დანართის საკონტროლო ცხრილი

დიპლომის დანართის ფირნიშნის კრიტერიუმი

დიპლომის დანართის ფირნიშნის განაცხადის პროცედურა

დიპლომის დანართის ფირნიშნის მინიჭების 2003 წ. 1 ნოემბრის შერჩევის პირველი რაუნდის შედეგები

დიპლომის დანართის ფირნიშნის განაცხადის ფორმა

დიპლომის დანართის ფირნიშნის დაწესებულებების სია

დიპლომის დანართი დამატება, განმარტებითი ბარათი, რომელიც თან ერთვის უმაღლესი სასწავლებლის მიერ მინიჭებულ დიპლომს. იგი წარმოადგენს დიპლომის განმარტებას, რომელიც ხშირად გასაგებია მხოლოდ საკუთარი ქვეყნის შიგნით. სრულად შევსებული ეს დოკუმენტი შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას აკადემიური ხარისხისა ან კვალიფიკაციის სამართლიანი შეფასებისათვის.

დიპლომის დანართი უნდა მიეცეს ყოველ სტუდენტს ყველა ტიპის პროგრამისათვის დასრულების შემდეგ დიპლომთან ერთად უფასოდ, ფართოდ გავრცელებულ ენაზე.

დაწესებულებამ უნდა გაავრცელოს ინფორმაცია დიპლომის დანართის მიზნებსა და შინაარსზე თავის სტუდენტებს შორის ისევე, როგორც ადგილობრივ ორგანიზაციებს, დამქირავებლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კომისიის EUROPASS ინიციატივა (http://www.lex.unict.it/cde/documenti/vari/2004/040107europass_en.pdf). კომისიის წინადადებაა მოხდეს

პროფესიული განათლების საბუთების ინტეგრაცია (მაგალითად, ევროპული პოტფოლიო და ევროპული CV) და მოვათავსოთ ისინი ერთიან ევროპულ ჩარჩოში კვალიფიკაციებისა და კომპეტენციის გამჭვირვალობისათვის, რომელიც უნდა შედიოდეს დიპლომის დანართში.

დიპლომის დანართის საკონტროლო ცხრილი

დიპლომის ყოველი დანართი უნდა დაიწყოს ასეთი პრეამბულით:

დიპლომის დანართის ეს მოდელი დამუშავებულია ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ. დანართის მიზანია უზრუნველყოს სრულყოფილი და ობიექტური მონაცემები საერთაშორისო “გამჭვირვალობის” გასაუმჯობესებლად და აკადემიური და პროფესიული კვალიფიკაციების სამართლიანი ცნობის მისაღწევად. მისი მიზანია უზრუნველყოს დანართში მოყვანილი კვალიფიკაციის მქონე პირის სწავლების ბუნების, დონის, კონტექსტის, შინაარსისა და სტატუსის დამაჯერებელი და საკმარისად სრული აღწერა. იგი არ უნდა შეიცავდეს რაიმე შეფასებით დასკვნებს, ექვივალენტობის მტკიცებას ან წინადადებებს ცნობის შესახებ. ინფორმაცია უნდა შეივსოს რვავე პარაგრაფში. თუ ინფორმაცია არ არის მოცემული, საჭიროა განმარტოს რატომ ხდება ეს.

და გრძელდებოდეს შემდეგი რვა სექტორით:

- 1 ინფორმაცია კვალიფიკაციის მფლობელის შესახებ**
 - 1.1 გვარი:
 - 1.2 სახელი:
 - 1.3 დაბადების თარიღი: (დღე/თვე/წელი):
 - 1.4 სტუდენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ან კოდი (თუ არსებობს):
- 2 ინფორმაცია კვალიფიკაციის შესახებ**
 - 2.1 კვალიფიკაციის სახელი და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე):
 - 2.2 კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგი:
 - 2.3 დიპლომის გამცემი დაწესებულების სახელი და სტატუსი (ორიგინალის ენაზე):
 - 2.4 იმ დაწესებულების (თუ განსხვავდება 2.3-სგან) სახელი და სტატუსი (ორიგინალის ენაზე), რომელშიც განხორციელდა სწავლების პროცესი:
 - 2.5 სწავლების/გამოცდის ენა (ენები):
- 3 ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის შესახებ**
 - 3.1 კვალიფიკაციის დონე:
 - 3.2 პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა:
 - 3.3 მიღების მოთხოვნები:
- 4 ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე**
 - 4.1 სწავლების ფორმა:
 - 4.2 პროგრამის დეტალები:
 - 4.3 კომპონენტები (მაგ. შესწავლილი მოდულები და ერთეულები) და მიღებული ინდივიდუალური ნიშნები/ შეფასებები/ კრედიტები: (თუ არსებობს, აქ უნდა დაერთოს ოფიციალური ნიშნების ფურცელი (ტრანსკრიპტი)):
 - 4.4 შეფასებების სისტემა და, თუ შესაძლებელია, შეფასებების განაწილების ინსტრუქცია:
 - 4.5 კვალიფიკაციის სრული კლასიფიკაცია (ორიგინალის ენაზე):
- 5 ინფორმაცია კვალიფიკაციის ფუნქციის შესახებ**
 - 5.1 დაშვება სწავლების შემდგომ საფეხურზე:
 - 5.2 პროფესიული სტატუსი (თუ არსებობს):
- 6 დამატებითი ინფორმაცია**
 - 6.1 დამატებითი ინფორმაცია:
 - 6.2 დამატებითი ინფორმაციის წყაროები:
- 7 დანართის სერტიფიცირება**
 - 7.1 თარიღი:
 - 7.2 ხელმოწერა:
 - 7.3 თანამდებობა:
 - 7.4 ოფიციალური შტამპი ან ბეჭედი:
- 8 ინფორმაცია ეროვნულ უმაღლესი განათლების სისტემაზე**

ზოგადი განათლების სისტემის მიმოხილვა
უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხების სტრუქტურა.

განმარტებები დანართის შევსების შესახებ

(ქვემოთ მოყვანილი ნუმერაცია ემთხვევა დიპლომის დანართის ნუმერაციას)

- 1 ინფორმაცია კვალიფიკაციის მფლობელის შესახებ
 - 1.1 სრული გვარი.

- 1.2 ყველა ოფიციალური სახელი.
- 1.3 მიუთითეთ დაბადების დღე, თვე და წელი.
- 1.4 ამ პარაგრაფით უნდა მოხდეს სტუდენტის იდენტიფიკაცია, როგორც პიროვნებისა, რომელიც დაშვებული იყო დიპლომის დანართში მითითებულ კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაში. იმ ქვეყნებისათვის, სადაც მიღებულია ეროვნული ან სახელმწიფო იდენტიფიკაციის ნომრების სისტემა, უნდა იქნას მითითებული ეს ნომერიც.

2 ინფორმაცია კვალიფიკაციის შესახებ

- 2.1 წარმოადგინეთ კვალიფიკაციის სრული სახელი ისე, როგორც ეს მიღებულია კვალიფიკაციის გამცემ ქვეყანაში, მაგალითად, кандидат наук, Maitrise, диплом და ა.შ. თუ სერტიფიკატი ანიჭებს ორმაგ კვალიფიკაციას, ესეც უნდა მიეთითოს. აღნიშნეთ, ანიჭებს თუ არა კვალიფიკაცია მის მფლობელს ქვეყანაში მიღებულ რაიმე ხარისხს და რას ნიშნავს ეს ხარისხი? მაგალითად, დოქტორი, ინჟინერი და ა.შ. მიუთითეთ ცნობს თუ არა ამ ხარისხს კანონმდებლობა.
- 2.2 მიუთითეთ მხოლოდ ძირითადი დისციპლინები, რომლებიც შეისწავლა დიპლომის მფლობელმა კვალიფიკაციის მისაღებად. მაგალითად, პოლიტიკა და ისტორია, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ბიზნეს-ადმინისტრაცია, მოლექულური ბიოლოგია და ა.შ.
- 2.3 მიუთითეთ კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულება. ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, ეს იგივე დაწესებულებაა, რომელმაც განახორციელა სწავლების პროგრამა (იხ. 2.4 ქვემოთ). კვალიფიკაციები შეიძლება გაიცეს სუბ-კონტრაქტული დაწესებულების მიერ, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებულ სტატუსის (ე.წ. “ფრანჩიზა”) ან ხელმძღვანელი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სხვა ტიპის აკრედიტაციის მქონე სასწავლებელს. ეს შეიძლება იყოს უნივერსიტეტი ან პროფესიული დაწესებულება. ზოგ შემთხვევაში ხელმძღვანელი კომპეტენტური ორგანო შეიძლება იყოს უცხოური დაწესებულება. ამ შემთხვევაში საჭიროა მისი დასახელება. მიუთითეთ მიმნიჭებელი დაწესებულების სტატუსი: კერძო და დამოუკიდებელი, კერძო და ცნობილი სახელმწიფოს მიერ, სახელმწიფო და, შეძლებისდაგვარად, ვის მიერ არის აკრედიტებული ეს დაწესებულება. ბოლოს, მიუთითეთ მიმნიჭებელი დაწესებულების ადგილი ზოგად ეროვნულ საგანმანათლებლო კლასიფიკაციაში, მაგალითად, უნივერსიტეტი, Fachhochschule, პროფესიული დაწესებულება, ტექნიკური კოლეჯი, Grand Ecole და ა.შ. თუ არსებობს განსხვავება მიმნიჭებელ ორგანიზაციასა და სასწავლებელს შორის მიუთითეთ ორივეს სტატუსი.
- 2.4 ეს პარაგრაფი ეხება იმ დაწესებულებას, რომელიც აწარმოებდა სწავლებას. ზოგ შემთხვევაში იგი განსხვავდება კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ორგანიზაციისაგან (იხ. 2.3 ზევით). მიუთითეთ სასწავლო დაწესებულების სტატუსი: კერძო და დამოუკიდებელი, კერძო და ცნობილი სახელმწიფოს მიერ, სახელმწიფო და, შეძლებისდაგვარად, ვის მიერ არის აკრედიტებული იგი. მიუთითეთ მიმნიჭებელი დაწესებულების ადგილი ზოგად ეროვნულ საგანმანათლებლო კლასიფიკაციაში, მაგალითად, უნივერსიტეტი, Fachhochschule, პროფესიული დაწესებულება, ტექნიკური კოლეჯი, Grand Ecole და ა.შ.
- 2.5 მიუთითეთ სწავლების და გამოცდის ენა.

3 ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის შესახებ

- 3.1 მიუთითეთ კვალიფიკაციის ზუსტი დონე და მისი ადგილი სპეციფიკურ ეროვნულ საგანმანათლებლო სტრუქტურაში (მოიშველიეთ მერვე პარაგრაფის მონაცემები). უნდა განიმარტოს ადგილობრივი საგანმანათლებლო ჩარჩოები მაგალითად, დიპლომამდელი/დიპლომის შემდგომი სასწავლებელი, ბაკალავრიატი + X წელი და ა.შ. მიუთითეთ ნებისმიერი შესაბამისი ინფორმაცია იმ “დონეების ინდიკატორის” შესახებ (მაგალითად, დიპლომი წარჩინებით), რომელიც მიღებულია და ცნობილი კვალიფიკაციის გამცემ ქვეყანაში.
- 3.2 განმარტეთ პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა კვირებში ან წლებში და სასწავლო დატვირთვა ძირითადი სუბ-კომპონენტების მითითებით, მაგალითად, საწარმოო პრაქტიკა. აჯობებს, თუ დატვირთვაში ნაჩვენებია იქნება სტუდენტის მიერ სწავლაზე დახარჯული სრული დრო (ლექციები, პრაქტიკულები, მასწავლებელთან ინდივიდუალურ მეცადინეობაზე დახარჯული დრო, გამოცდები და ა.შ.). ეს შეიძლება გამოისახოს როგორც X საათი კვირაში კვირის განმავლობაში ან, უბრალოდ, სწავლების ხანგრძლივობის ადგილობრივი აღწერით, მაგალითად, სრული წლიური დატვირთვით.
- 3.3 ჩამოთვალეთ და ახსენით ის მოთხოვნები, რომელიც საჭიროა დიპლომში მითითებული კვალიფიკაციის შესაბამის პროგრამაში აბიტურიენტის დასაშვებად. მაგალითად, ბაკალავრის ხარისხი, მაგისტრატურა და ა.შ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც დასახელებული კვალიფიკაციის მისაღებად მოითხოვება საშუალოდ სწავლება.

4 ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

- 4.1 სწავლების ფორმა უზენაეს რა სახით იყო მიღებული კვალიფიკაცია, მაგალითად, დღის სწავლება, საღამოს სწავლება, დისტანციური და ა.შ.
- 4.2 თუ შესაძლებელია მოიყვანეთ დეტალები დებულებიდან, რომელიც განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისაღებად საჭირო მინიმალურ სტანდარტებს, მაგალითად, ნებისმიერ დამატებით კომპონენტებს ან დამატებით პრაქტიკულ ელემენტებს, საჭიროა, თუ არა, ყველა ელემენტის ერთდროული შესრულება, თეზისის/დისერტაციის დაცვა, და ა.შ. მოიყვანეთ განსაკუთრებული დეტალები, რომლებიც ეხმარებიან კვალიფიკაციის წარმატებულ მიღწევას, განსაკუთრებით ის მოთხოვნები, რომლებიც აადვილებენ ამას. თუ შესაძლებელია, მოიყვანეთ სწავლების შედეგების, დახელოვნების, კომპეტენციის დეტალები და ჩამოაყალიბეთ კვალიფიკაციასთან დაკავშირებული მიზნები.
- 4.3 მოიყვანეთ კვალიფიკაციის ყოველი ინდივიდუალური ელემენტისა და ნაწილის დეტალები და მათი წვლილი კვალიფიკაციის განსაზღვრაში. ჩამოთვალეთ ნიშნები და/ან შეფასებები, მიღებული კვალიფიკაციის ყოველ ძირითად კომპონენტში. ჩანაწერი ზედმიწევნით სრული უნდა იყოს და უნდა ეთანადებოდეს კვალიფიკაციის გამცემ დაწესებულებაში მიღებულ შეფასების სისტემას. მოიყვანეთ ყველა გამოცდისა ან შეფასების კომპონენტი და/ან სწავლების საგნები. თეზისის ან დისერტაციის ჩართვით. მიუთითეთ მოხდა, თუ არა, ამ უკანასკნელის დაცვა? ყველა ეს ინფორმაცია, ხშირად, წარმოდგენილია ტრანსკრიპტის სახით (ტრანსკრიპტის მოხერხებული ფორმატი დამუშავებულია ევროპული კრედიტების სატრანსფერო სისტემაში [ECTS]). კრედიტებზე დამყარებული სისტემების უმრავლესობა იყენებს დეტალიზებულ ტრანსკრიპტებს, რომლებიც შეიძლება ჩაირთოს დიპლომის დანართის ფართო ჩარჩოებში. თუ შესაძლებელია კრედიტის დანაწილება კურსის ელემენტებსა და ერთეულებს შორის, ეს უნდა ჩაირთოს აღწერაში.
- 4.4 მოიყვანეთ ინფორმაცია კვალიფიკაციასთან დაკავშირებული შეფასებების სქემისა და გამსვლელი ნიშნების შესახებ. მაგალითად, გამსვლელია მაქსიმალური ქულის 40%. არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები სხვადასხვა ქვეყნის და უმაღლესი სასწავლებლის შეფასებათა სისტემაში. მაგალითად, ზოგან 70%-იანი შეფასება წარმოადგენს მეტად მაღალ შეფასებას მაშინ, როდესაც სხვაგან ეს საშუალო ან ცუდი შეფასებაც კი არის. ამიტომ უნდა მიუთითოს ინფორმაცია კვალიფიკაციის შეფასების წონის შესახებ.
- 4.5 თუ არსებობს, მოიყვანეთ საბოლოო კვალიფიკაციის სრული კლასიფიკაცია, მაგალითად, დიპლომი წარჩინებით, First Class Honour Degree, Summa Cum Laude, Merit, Avec Distinction და ა.შ.

5 ინფორმაცია კვალიფიკაციის ფუნქციის შესახებ

- 5.1 მიუთითეთ, იძლევა, თუ არა, კვალიფიკაცია შემდგომ აკადემიურ და ან პროფესიულ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას, განსაკუთრებით თუ იგი სრულდება სპეციფიკური კვალიფიკაციის მიღებით, მაგალითად, სადოქტორო სწავლება უნგრეთში. თუ ამას ადგილი აქვს, დააზუსტეთ, რა შეფასებები ან სტანდარტებია საჭირო სწავლის გაგრძელების ნებართვის მისაღებად. აღნიშნეთ წარმოადგენს, თუ არა, კვალიფიკაცია უმაღლესს ხარისხს ხარისხების იერარქიაში.
- 5.2 უჩვენეთ, რა უფლებებს ან პროფესიულ სტატუსს ანიჭებს კვალიფიკაცია მის მფლობელს. რა სპეციალურ დაშვებას (თუ ასეთი არსებობს) იძლევა კვალიფიკაცია დასაქმებისა და პროფესიული პრაქტიკის თვალსაზრისით და მიუთითეთ, რომელი კომპეტენტური ორგანო იძლევა ამ დაშვებას. უჩვენეთ, რომელ “რეგულირებად პროფესიაზე” აქვს დაშვება ამ კვალიფიკაციას.

6 დამატებითი ინფორმაცია

- 6.1 მოიყვანეთ დამატებითი ინფორმაცია კვალიფიკაციის ბუნების, დონისა და გამოყენების შეფასების მიზნების შესახებ, რომელიც არ შევიდა წინა პარაგრაფებში. მაგალითად, ის, რომ კვალიფიკაცია შეიცავს სხვა დაწესებულებაში/კომპანიაში/ქვეყანაში სწავლის/მომზადების პერიოდს და დაურთეთ შესაბამისი დეტალები იმ დაწესებულების შესახებ, სადაც იქნა მიღებული კვალიფიკაცია.
- 6.2 მოიყვანეთ ინფორმაცია სხვა სასარგებლო წყაროების და ლიტერატურის შესახებ, სადაც შეიძლება ცნობების მოპოვება კვალიფიკაციის შესახებ. მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლის ვებ-გვერდი, განყოფილება კვალიფიკაციის გამცემ დაწესებულებაში, ეროვნული საინფორმაციო ცენტრი, ევროკავშირის ეროვნული აკადემიური ცნობის საინფორმაციო ცენტრები (NARIC), ევროსაბჭო/იუნესკოს ეროვნული აკადემიური ცნობისა და მობილობის საინფორმაციო ცენტრები (ENIC).

7 დანართის სერტიფიცირება

- 7.1 დიპლომის დანართის გაცემის თარიღი. სავალდებულო არ არის იგი ემთხვეოდეს კვალიფიკაციის მინიჭების თარიღს.

- 7.2 დიპლომის დანართის გამცემი ოფიციალური პირის გვარი, სახელი და ხელმოწერა.
- 7.3 ამ პირის ოფიციალური პოსტი.
- 7.4 იმ დაწესებულების ოფიციალური ბეჭედი, რომელიც უზრუნველყოფს დიპლომის დანართის ავთენტურობას.

8 ინფორმაცია ეროვნულ უმაღლესი განათლების სისტემაზე
 მოიყვანეთ ინფორმაცია უმაღლესი განათლების სისტემის შესახებ. ზოგადი მოთხოვნები უმაღლეს სასწავლებელში მიღების წესებზე, დაწესებულებათა ტიპები და კვალიფიკაციების სტრუქტურა. აღწერამ უნდა უჩვენოს კვალიფიკაციის კონტექსტი. ამ აღწერის სტანდარტული ჩარჩო აქტუალურ აღწერასთან ერთად ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვა ქვეყნებისთვისაც.

ეს საბუთი შექმნილია პროექტის განხორციელების შედეგად შესაბამის ეროვნულ (ევროკავშირი და ევროპული ეკონომიკური სივრცე) აკადემიური ცნობის ცენტრებთან (NARIC) და ევროპულ (ევროსაბჭო/UNESCO) აკადემიური ცნობისა და მობილობის საინფორმაციო ცენტრებთან (ENIC), მინისტრებსა და რექტორთა კონფერენციებთან თანამშრომლობით.

დიპლომის დანართის ფირნიშის კრიტერიუმები

დიპლომის დანართის ფირნიშანი მიენიჭება იმ სასწავლებლებს, რომლებიც კორექტულად იყენებენ დიპლომის დანართს ყოველი სტუდენტისათვის სწავლის დამთავრების შემდეგ, დიპლომთან ერთად, უფასოდ და ფართოდ გავრცელებულ ევროპულ ენაზე.

ბოლონის ხელმოწერი ყველა ქვეყნის სასწავლებელს შეუძლია გააკეთოს განაცხადი დიპლომის დანართის ფირნიშის მიღებაზე. შეფასება სხვა ქვეყნებიდან არ არის გამორიცხული, მაგრამ არ იძლევა გარანტიას მოცემულ ეტაპზე.

სასწავლებლებმა უნდა წარმოადგინოს დიპლომის დანართის მოქმედი მაგალითები და ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დიპლომის დანართი გამოშვებულია ყოველი სტუდენტისათვის. განაცხადები, რომლებიც არა შეიცავს ყველა მოთხოვნილი საბუთის სრულ კრებულს, მოცემულს დიპლომის დანართის ფირნიშის განაცხადის ფორმაში არ იქნება შეფასებული

ფირნიშის მფლობელი დაწესებულებების სია ქვეყნდება ვებ-გვერდზე. ფირნიშის მიღება მოქმედებს დაჯილდოებული სასწავლებლის იმიჯზე და უჩვენებს, რომ იგი საიმედო პარტნიორია ევროპული და საერთაშორისო თანამშრომლობაში.

მოწოდებული მაგალითები და ინფორმაცია შეფასებული იქნება ევროკომისიი მიერ დამოუკიდებელი ექსპერტების დახმარებით. დიპლომის დანართის ფირნიშანი ვარგისია სამი წლის მანძილზე. ამ პერიოდის განმავლობაში ECTS/დიპლომის დანართის მრჩეველებს შეუძლიათ განახორციელონ საკონტროლო ვიზიტი და თუ ნათელი გახდება, რომ მოთხოვნები არ სრულდება, დიპლომის დანართის ფირნიშანი შეიძლება ჩამორთმეულ იქნას. დიპლომის დანართის ფირნიშის ჩამორთმევის პირობები გამოქვეყნებული იქნება კომისიის ვებ-საიტზე.

განაცხადის პროცედურა დიპლომის დანართის ფირნიშის მისაღებად.

განაცხადის ფორმა დიპლომის დანართის ფირნიშის მისაღებად

განმცხადებლების რაოდენობა: 85

- ავსტრია 1
- ბელგია 4
- ჩეხეთის რესპუბლიკა 1
- გერმანია 6
- დანია 9
- ესტონეთი 1
- ფინეთი 12
- საფრანგეთი 1
- ნიდერლანდები 2
- ნორვეგია 25
- პოლონეთი 1

პორტუგალია 1

შვეცია 17

სლოვენია 1

თურქეთი 3

შერჩეული სასწავლებლების რაოდენობა: 28

წარმატებული განმცხადებლების რაოდენობიდან გამომდინარე (33%) ცხადია, რომ დიპლომის დანართის ფირნიშის მიღება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ECTS ფირნიშისა.

წარმატებულ განმცხადებელთა ნახევარი წარმოადგენს ბოლონის პროცესის უმცირეს ქვეყანას – ნორვეგიას. ჩრდილოეთის ქვეყნებმა მიიღეს ჯილდოთა 75%, სადაც შევედეთმა და ფინეთმა ყოველმა 3, ხოლო დანიამ 2 ფირნიშანი დაიმსახურა. გერმანიამ წარმოადგინა 2 წარმატებული განაცხადი, ხოლო ავსტრიამ, ესტონეთმა, პოლონეთმა და პორტუგალიამ – ერთი ფირნიშის მფლობელი თითოეულმა.

ნორვეგიის წარმატება შეიძლება მიეწეროს მის სამინისტროს, რომელმაც გასცა განკარგულება დიპლომის დანართის დაუყოვნებელი გაცემის შესახებ ყველა უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო კოლეჯის მიერ. 2001 წლის ბოლოს ყველა დაწესებულებამ დაამუშავა დიპლომის დანართი და დაიწყო მისი გაცემა ავტომატურად.

წარუმატებლობის ყველაზე უფრო ხშირი მიზეზები

როგორც ECTS განმცხადებლების შემთხვევაში აქაც პრობლემის გადაწყვეტა ადვილია: წარუმატებელი განმცხადებლები არ მისდევდნენ რჩევებს, ჩამოთვლილს ახსნა-განმარტებით ბარათში და ამიტომ არ წარმოადგინეს მოთხოვნილი ინფორმაცია დანართის ყველა სექციაში. ყველაზე მეტი გამოტოვება მოხდა მე-4 სექციაში (ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე). კერძოდ, ეს ეხება ქვესექცია 4.3-ს "პროგრამის დეტალები" (მაგალითად, შესწავლილი მოდულები და ერთეულები) და მიღებულ ინდივიდუალურ შეფასებებს/ნიშნებს/კრედიტებს. დაწესებულებათა უმრავლესობამ აღწერა მოთხოვნილი დანართი შესაბამისი სექციის შევსებით, მაგრამ მათ არ დაურთეს მასალა თავისი განაცხადის მხარდასაჭერად. რამდენიმე განმცხადებელს უარის ეთქვა მე-8 სექციის არ შევსების გამო.

დიპლომის დანართის ფირნიშნის დაწესებულებების სია

28505 PÄDAGOGISCHE AKADEMIE DES BUNDES IN NÖ, AT
28375 FACHHOCHSCHULE STRALSUND, DE
28749 HANDELSHOCHSCHULE LEIPZIG GMBH, DE
28824 SYDDANSK UNIVERSITET, DK
101822 DANMARKS PÆDAGOGISKE UNIVERSITET, DK
64947 ESTONIAN BUIZNESS SCHOOL, EE
29497 OULUN SEUDUN AMMATTIKORKEAKOULU, FI
29560 TAMPEREEN YLIOPISTO, FI
29574 LAUREA- AMMATTIKORKEAKOULU, FI
29625 HØGSKOLEN I BODØ, NO
29627 HØGSKOLEN I LILLEHAMMER, NO
29642 HØGSKOLEN I NARVIK, NO
29643 UNIVERSITETET I BERGEN, NO
29646 HØGKSOLEN I AGDER, NO
29650 NORGES WETERINÆRHØGSKOLE, NO
29652 HØGSKOLEN I NORD-TRØNDELAGE, NO
29654 HØGSKOLEN I TROMSØ, NO
29684 HØGSKOLEN I SØR- TRØNDELAGE, NO
29714 UNIVERSITETET I OSLO, NO
29724 UNIVERSITETET I TROMSØ, NO
29726 HØGSKOLEN I MOLDE, NO
100293 HØGSKOLEN I GJØVIK, NO
218548 HØGSKOLEN I ÄLESUND, NO
68668 WYZSZA SZKOLA HUMANISTYCZNO-EKONOMICZNA W LODZI, PL
29238 UNIVERSIDADE DO MINHO, PT
29350 UPPSALA UNIVERSITET, SE
29369 MÅLARDALENS HÖGSKOLA, SE
29375 VÄXJÖ UNIVERSITET, SE

ხშირად დასმული შეკითხვები

სავალდებულოა თუ არა ECTS-ის გამოყენება დიპლომის დანართში?

არა, მაგრამ ეს დაბეჯითებით არის რეკომენდებული. კარგ მაგალითს წარმოადგენს კურსდამთავრებულის ECTS ნიშნების ფურცლის ჩართვა დიპლომის დანართის 4.3 სექციაში. ECTS კრედიტების ჩართვა აუმჯობესებს დანართის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გამჭვირვალობას.

არის თუ არ დაკავშირებული დიპლომის დანართისა და ECTS ფირნიშნები?

არა. თითოეული ფირნიშნის მიღება შეიძლება დამოუკიდებლად. ამასთან, დაბეჯითებით ვიძლევიტ რეკომენდაციას, რომ ორივე ფირნიშანი შემოტანილი იყოს ერთნაირი ინფორმაციის საშუალებით, რადგან მონაცემები, რომელიც მოითხოვება ორივესათვის, ერთნაირია და შეიძლება მოგროვდეს, განიხილოს, შეინახოს და გახდეს ხელმისაწვდომი ორივე შემთხვევაში. ცხადია უფრო ადვილია გაკეთდეს განაცხადი ერთდროულად ორივე ფირნიშნისათვის.

შეიძლება დიპლომის დანართის მიღება 4.3 სექციაში მოთხოვნილი ინფორმაციის გარეშე სწავლის კომპონენტების, კურსების, მოდულებისა ან ერთეულების შესახებ?

არა, ასეთი საბუთი არ არის ოფიციალური დიპლომის დანართი.

ლექსიკონი

შეფასება

სრულფასოვანი წერითი, ზეპირი, ჩათვლა/გამოცდები, პროექტები და შრომათა ციკლი, გამოყენებული სტუდენტის პროგრესის შესამოწმებლად კურსის ერთეულში ან მოდულში, ქმნის შეფასებას. ეს ზომა შეიძლება საკუთარი პროგრესის შესამოწმებლად (ოფიციალური შეფასება) გამოიყენოს თვით სტუდენტმა ან დაწესებულებამ იმის დასადგენად, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სწავლის დასახულ მიზნებს კურსის ერთეულში ან მოდულში (ჯამური შეფასება).

შეფასების კრიტერიუმი

იმის აღწერა, თუ რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ სწავლის დასახული მიზნის მისაღწევად.

კოჰორტა

სტუდენტთა ჯგუფი, რომელიც იწყებს აკადემიური ხარისხის გარკვეულ პროგრამას ერთსა და იმავე წელს ითვლება კოჰორტად.

კომპეტენცია

კომპეტენცია წარმოადგენს თვისებათა, შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების დინამიკურ კომბინაციას. კომპეტენციის განვითარება წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს. კომპეტენცია ყალიბდება კურსის სხვადასხვა ერთეულების შესწავლისას და ფასდება სხვადასხვა საფეხურზე. იგი შეიძლება გაიყოს საგანთან დაკავშირებულ კომპეტენციად (სპეციფიკური სწავლების დარგისთვის) და ზოგად კომპეტენციად (რომელიც საერთოა აკადემიური ხარისხის ყველა კურსისათვის).

ხელშეწყობა

ხელშეწყობა აღნიშნავს პროცედურას, როდესაც საგამოცდო კომისია ათავისუფლებს სტუდენტს მოდულის გადაბარებისაგან, რომელშიც იგი ჩაიჭრა, თუ მას მაღალ ნიშნებზე აქვს ჩაბარებული ამ მოდულთან დაკავშირებული სხვა მოდულები.

საკონტაქტო საათები

45-60 წუთიანი სასწავლო კონტაქტი მასწავლებელსა და სტუდენტს ან სტუდენტთა ჯგუფს შორის განსაზღვრულია როგორც საკონტაქტო საათი.

უწყვეტი შეფასება

უწყვეტი შეფასება აღნიშნავს სიტუაციას, როდესაც შეფასება, აღწერილი ზევით, მიმდინარეობს სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოქმედებს საბოლოო შეფასებაზე.

კრებადობა

კრებადობა მოიცავს დამაკმაყოფილებელი პოლიტიკის ნებაყოფლობით მიღებას ზოგადი მიზნების მისაღწევად. ეროვნული საგანმანათლებლო სისტემების არქიტექტურაში კრებადობა არის გათვალისწინებული ბოლონის პროცესით.

კურსის ერთეული ანუ მოდული

სწავლების ჩაკეტილი, ოფიციალურად მიღებული გამოცდილება. მასში ნათლად და ზუსტად უნდა აისახოს სწავლის შედეგები, გამოსახული კომპეტენციის ტერმინებში და შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები.

საკურსო მეცადინეობა

საკურსო მეცადინეობა განსაზღვრავს კურსის ერთეულით ან მოდულით გათვალისწინებულ ამოცანას.

კრედიტი

ECTS შემთხვევაში კრედიტი დროის ერთეულებში გამოსახული სტუდენტის დატვირთვის ზომას წარმოადგენს.

კრედიტის დაგროვება (აკუმულაცია)

კრედიტების აკუმულაციის სისტემაში პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად კრედიტების განსაზღვრული რიცხვი უნდა იყოს მიღებული სემესტრის, აკადემიური წლის ან სრული პროგრამის წარმატებით დასრულების აღსანიშნავად. კრედიტი ითვლება მინიჭებულად და დაგროვებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწავლის მოთხოვნილი შედეგის წარმატებით დასრულება დადასტურებულია შეფასებით.

კრედიტის ჩარჩო

სისტემა, რომელიც სწავლის გარემოს კონტექსტში აადვილებს მიღწეული სწავლის შედეგის შეფასებასა და შედარებას კვალიფიკაციების, სასწავლო პროგრამების და დროის ერთეულში გაზომილი სტუდენტის დატვირთვის საფუძველზე.

კრედიტის დონე

კრედიტების დონე არის სწავლისა და მოსწავლის ავტონომიის ფარდობითი მოთხოვნების ინდიკატორი. ის შეიძლება დაფუძნებული იყოს სწავლების წელიწადზე და/ან კურსის შინაარსის ტიპზე (მაგალითად, საბაზისო/მაღალი დონის/სპეციალიზირებული).

კრედიტის ტიპი

კრედიტების ტიპი იძლევა სასწავლო პროგრამაში კურსის ერთეულის ან მოდულის სტატუსის ინდიკატორს. ის შეიძლება აღიწეროს, მაგალითად, როგორც ძირითადი (წამყვანი კურსის ერთეული), ფარდობითი (დამხმარე ერთეული) და არასავალდებულო (არჩევითი კურსის ერთეული).

ციკლი

ციკლი წარმოადგენს სწავლების კურსს, რომელიც იძლევა აკადემიური ხარისხის. ბოლონის დეკლარაციაში დასახელებული ერთერთი მოთხოვნა არის "ორ ძირითად, დიპლომამდელ და დიპლომის შემდგომ, ციკლზე დაფუძნებული სისტემის შემოღება". ამჟამად სადოქტორო სწავლება ითვლება მესამე ციკლად.

აკადემიური ხარისხი/დიპლომი

აკადემიური ხარისხი აღწერს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მინიჭებულ კვალიფიკაციას. კრედიტთა აკუმულაციის სისტემაში პროგრამა სრულდება სწავლის შედეგების სპეციფიკური ერთობლიობის მიღწევისათვის კრედიტთა განსაზღვრული რიცხვის მინიჭების საშუალებით.

დიპლომის დანართი

დიპლომის დანართი წარმოადგენს ოფიციალური აკადემიური ხარისხის/ კვალიფიკაციის დამატებას, რომლის მიზანია სწავლების ბუნების, დონის, შინაარსის, შემცველობისა და სტატუსის აღწერა, რომელიც განხორციელებულია და წარმატებით არის დასრულებული აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მფლობელის მიერ. მის საფუძველს წარმოადგენს ევროკომისიის, ევროპის საბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ დამუშავებული მოდელი. იგი აუმაჯობებს საერთაშორისო გამჭვირვალობასა და კვალიფიკაციების აკადემიურ/პროფესიულ ცნობას.

სადოქტორო ან დოქტორის ხარისხი

საერთაშორისოდ ცნობილი მაღალი დონის კვალიფიკაცია, რომელიც მის მფლობელს აძლევს კვლევისა და აკადემიური მუშაობის ჩატარების უფლებას, შეიძლება დახასიათდეს როგორც სადოქტორო ან დოქტორის ხარისხი. ის შეიცავს ორიგინალური სამეცნიერო კვლევის

მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც წარმოდგენილია თეზისში (დისერტაციაში). მას ამჟამად განიხილავენ როგორც აკადემიურ ხარისხს, მინიჭებულს მესამე ციკლის დასრულების შემდეგ.

ECTS (ევროპულ სატრანსფერო და სააკუმულაციო კრედიტების სისტემა)

ECTS არის სისტემა საგანმანათლებლო სისტემების გამჭვირვალობისა და ევროპის რეგიონში სტუდენტთა მობილობის გასაუმჯობესებლად სატრანსფერო კრედიტების საშუალებით. ის ეფუძნება ზოგად მოსაზრებას, რომ აკადემიური წლის სწავლების საერთო დატვირთვა 60 კრედიტის ტოლია. 60 კრედიტი მიეწერება კურსის ერთეულებს ან მოდულებს შესაბამისი სწავლების შედეგების მიღწევისათვის სტუდენტის დატვირთვის აღსაწერად. კრედიტის ტრანსფერი გარანტირებულია ზუსტი ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერენ გამომშვები დაწესებულება, მიმღები დაწესებულება და მობილური სტუდენტი.

გამოცდა

სემესტრული გამოცდა, ჩვეულებრივ, აღნიშნავს ოფიციალურ წერით და/ან ზეპირ ტესტურ გამოცდას კურსის ერთეულის ან მოდულის დასრულებისას ან გვიან, სასწავლო წლის ბოლოს. გამოიყენება შეფასების სხვა მეთოდებიც. ტესტირება კურსის ერთეულის ან მოდულის მიმდინარეობისას კვალიფიცირდება როგორც უწყვეტი შეფასება, თუ მისი შედეგები გათვალისწინებულია საბოლოო შეფასებაში.

პირველი აკადემიური ხარისხი

პირველი ციკლის კვალიფიკაციას, რომელიც მიენიჭება კურსდამთავრებულს მინიმუმ სამი წლის სწავლის ან 180 კრედიტის მოგროვების შემდეგ, ეწოდება პირველი აკადემიური ხარისხი.

ნიშანი

ფინალური შეფასება, დაფუძნებული სრულ აქტივობაზე ინდივიდუალური კურსის ერთეულის ან მოდულის ჩარჩოებში მოცემული სასწავლო პროგრამისათვის.

დიპლომის შემდგომი სწავლება

სწავლების კურსი პირველი აკადემიური ხარისხის მიღების შემდეგ, რომელიც, ჩვეულებრივ, მთავრდება მეორე ციკლის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამებში შეიძლება იმ სტუდენტების მიღება, რომლებსაც აქვთ, როგორც წესი, 12 წლიანი საშუალო სკოლის დამთავრების საბუთი ან სხვა შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია ან სხვა სახის დასაბუთებული წინასწარი სასწავლო ან/და სამუშაო გამოცდილება. უმაღლესი განათლების განხორციელება შეუძლიათ უნივერსიტეტებს, პროფესიული სწავლების უნივერსიტეტებს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (სასწავლებლებს), კოლეჯებს, პოლიტექნიკურ სასწავლებლებსა და ა.შ.

ICT სწავლება

ICT სწავლება შეიცავს სწავლებას/სწავლას, რომელიც მოიცავს ინფორმაციულ და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს, ის ჩვეულებრივ მოიცავს ელექტრონული სწავლების გარემოსაც.

სწავლის შედეგები

სწავლის შედეგები წარმოადგენენ დებულებებს იმის შესახებ, რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და/ან შეეძლოს გააკეთოს მოსწავლემ სწავლის პროცესის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგებს თან უნდა ახლდეს შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნება დადგენა, სწავლის რა მოსალოდნელი შედეგები იქნა მიღწეული. სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმებთან ერთად განსაზღვრავს კრედიტის მინიჭების მოთხოვნებს, მაშინ როდესაც ნიშნები დაფუძნებულია მიღწევებზე კრედიტების მინიჭების მოთხოვნათა ზემოთ ან ქვემოთ. კრედიტების აკუმულაცია და ტრანსფერი ადვილდება, თუ მოცემულია ნათელი სწავლის შედეგები იმ მიღწევების ზუსტად აღსანიშნავად, რისთვისაც გაიცა კრედიტები.

სწავლის პერიოდი

საათების რაოდენობა საჭირო საშუალო სტუდენტისათვის მიაღწიოს სწავლის გარკვეულ შედეგს და შეფასების შედეგად დაიმსახუროს კრედიტები.

ნიშანი

ნიშანი არის ინდივიდუალური კურსის ერთეულის შეფასების აღსაწერად გამოყენებული რიცხობრივი ან ხარისხობრივი ზომა ან კარგად განსაზღვრული შკალა.

მოდული

იხილე კურსის ერთეული

არჩევითი კურსები

არჩევითი კურსები არის კურსის ერთეულები, გამოყენებული სასწავლო პროგრამის ნაწილად, რომელიც არ არის სავალდებულო ყველა სტუდენტისათვის.

სასწავლო პროგრამა

კურსის ერთეულების ან მოდულების დამტკიცებული ერთობლიობა, საჭირო სპეციფიკური აკადემიური ხარისხის მისაღებად, ადგენს სასწავლო პროგრამას. იგი შეიძლება განისაზღვროს კრედიტების დადგენილი რიცხვის მისაღწევად აუცილებელი სწავლის შედეგების ერთობლიობით.

კვალიფიკაციის ცნობა

კვალიფიკაციის ცნობა ECTS-ის ფარგლებში მოითხოვს კრედიტებს, მიღებულს სტუდენტის მიერ კურსის ერთეულის ან მოდულის წარმატებით დასრულების შედეგად. კრედიტები, დაფიქსირებული სასწავლო ხელშეკრულებაში მასპინძელ უნივერსიტეტში, უნდა შეიცვალოს ადგილობრივ უნივერსიტეტში მიღებული კრედიტების სისტემის შესაბამისი რიცხვებით.

განმეორებითი გამოცდა ან შეფასება

სტუდენტს, რომელმაც ვერ შეძლო ვადაში გამოცდაზე ან შეფასებაზე გასვლა ან ჩაიჭრა, შეიძლება მიეცეს საშუალება მიიღოს მონაწილეობა განმეორებით გამოცდებში ან შეფასებაში მოგვიანებით.

მეორე ციკლის აკადემიური ხარისხი

მეორე ციკლის აკადემიური ხარისხი არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია, რომელიც ენიჭება პირვნებას მეორე ციკლის სწავლების წარმატებით დასრულების შემდეგ. ეს ციკლი შეიძლება შეიცავდეს სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც. ჩვეულებრივ, სტუდენტი დაიშვება მეორე ციკლში სასწავლო პირველი ციკლის აკადემიური ხარისხის მიღების შემდეგ.

უნარი

უნარი არის შესაძლებლობა, მიღწეული სწავლის პროცესში, რომელიც შეიძლება დაიყოს "საგნის სპეციფიკის" და "ზოგად" ცოდნად.

თეზისები (დისერტაცია)

თეზისები (დისერტაცია) არის ოფიციალურად წარმოდგენილი წერილობითი ანგარიში ან დამოუკიდებელი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც საჭიროა აკადემიური ხარისხის მისაღებად (როგორც წესი, მეორე აკადემიური ხარისხი ან დოქტორის ხარისხი).

აწყობა

"აწყობა" ნიშნავს რადიომიმდების სინქრონიზაციას საჭირო ტალღაზე, ორკესტრის სხვადასხვა ინსტრუმენტის "აწყობას" იმისთვის, რომ თავი ავარიდოთ არასასურველ დისონანსებს. "აწყობის პროექტის" შემთხვევაში ეს ნიშნავს შეთანხმებული ათვლის წერტილის შემოღებას ევროპის უმაღლესი განათლების სტრუქტურის ორგანიზაციისათვის. ამავე დროს ხდება იმ ფაქტის აღიარება, რომ ტრადიციების მრავალფეროვნება დადებითი ფაქტორია უმაღლესი განათლების დინამიური საერთო სივრცის შესაქმნელად.

წრთვნა

წრთვნა არის ინსტრუქციის პერიოდი, როდესაც მწვრთნელის ხელმძღვანელობით ხდება კურსის ერთეულის ან მოდულის ღრმა შესწავლა, მასალისა და საგნის კრიტიკული განხილვა და დისკუსია.

დიპლომამადელი სწავლება

დიპლომამადელი სწავლებაში იგულისხმება სწავლის პერიოდი პირველი აკადემიური ხარისხის მიღებამდე.

დატვირთვა

დატვირთვა შეიცავს სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო ყოველგვარ საგანმანათლებლო საქმიანობას (მაგალითად, ლექციებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს, ინფორმაციის მოძიებას, დამოუკიდებელ მეცადინეობას და ა.შ.).

**ტრანსფერისა და ღაბროვნის ევროპული კრედიტების სისტემა
სტუდენტის განაცხადის ფორმა**

(ფოტოსურათი)

აკადემიური წელი 20.. /20..
დარგი (დისციპლინა):

განაცხადი უნდა შეივსოს შავი ფერის კალმით, რომ გაადვილდეს ასლის გადაღება, ფაქსისა და ელ-ფოსტის გაგზავნა

სტუდენტის მშობლიური ინსტიტუტი

სახელწოდება და სრული მისამართი.....

ფაკულტეტის/დეპარტამენტის კოორდინატორი – გვარი, სახელი, ტელეფონი, ფაქსი და ელ-ფოსტა

სასწავლებლის კოორდინატორი – გვარი, სახელი, ტელეფონი, ფაქსი და ელ-ფოსტა

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ

(უნდა შეივსოს სტუდენტის მიერ)

გვარი	სახელი (სახელები)
დაბადების თარიღი	
სქესი.....	
მოქალაქეობა	მუდმივი მისამართი
დაბადების ადგილი
ამჟამინდელი მისამართი
.....	ტელ.
.....	ფაქსი
მისამართი ძალაშია	ელ-ფოსტა
ტელ.	
ფაქსი	
ელ-ფოსტა	

განაცხადის მიმღები უმაღლესი საბანანათლებლო დაწესებულების ჩამონათვალი (პრიორიტეტების მიხედვით):

დაწესებულება	ქვეყანა	სწავლის პერიოდი -დან -მდე		სწავლის ხანგრძლივობა (თვეები)	მოსალოდნელი კრედიტების რაოდენობა
1.
2.
3.

სტუდენტის გვარი

გამგზავნი დაწესებულება ქვეყანა

.....

მოკლედ ჩამოაყალიბეთ საზღვარგარეთ სწავლის სურვილის მიზეზი
.....
.....
.....

ენის ცოდნა

მშობლიური ენა სწავლების ენა მშობლიურ ინსტიტუტში (განსხვავების შემთხვევაში
.....

სხვა ენები	ამჟამად ვსწავლობ ამ ენას		ენის ცოდნა საკმარისია ლექციების გაგებისათვის		ლექციებს გვიგებ დამატებითი მეცადინეობის შემთხვევაში	
	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	არა
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მიმდინარე სწავლასთან დაკავშირებული სამუშაო გამოცდილება (არსებობის შემთხვევაში)

გამოცდილების სახე	ფირმა/ორგანიზაცია	ვადები	ქვეყანა
.....
.....

წინა და ამჟამინდელი სწავლა

დიპლომი/აკადემიური ხარისხი, რომლის მიღებასაც აპირებთ
სასწავლო რაოდენობა საზღვარგარეთ გამგზავრებამდე
გაქვთ საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება? დიახ არა
თუ დიახ, როდის? რომელ სასწავლებელში?

თან დართული ნიშნების ფურცელი შეიცავს დეტალურ ინფორმაციას წინა და ამჟამინდელი უმაღლესი განათლების შესახებ. დეტალები, რომელიც უცნობია განცხადების წარდგენის მომენტში, მოგვიანებით უნდა დაემატოს.

გსურთ თუ არა განცხადების შეტანა მობილობის გრანტის მოსაპოვებლად, რომელიც საზღვარგარეთ სწავლის განმავლობაში ხარჯებს შეგიმსუბუქებთ? დიახ არა

მიმღები სასწავლებელი

ამით ვადასტურებთ განაცხადის, სასწავლო ხელშეკრულებისა და კანდიდატი ნიშნების ფურცლის მიღებას.

ზემოთ აღნიშნული სტუდენტი პირობითად მიღებულია სასწავლებელში
 არ არის მიღებული სასწავლებელში

ფაკულტეტის/დეპარტამენტის კოორდინატორის ხელმოწერა სასწავლებლის კოორდინატორის ხელმოწერა

.....
თარიღი თარიღი :

ტრანსფერისა და დაბტომების ევროპული კრედიტების სისტემა
საკანონმდებლო აქტი 20.../20... - დისციპლინა

სტუდენტის გვარი და სახელი:

მშობლიური სასწავლებელი
..... ქვეყანა

სახელმძღვანელო შემთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამის დეტალები / სასწავლო ხელშეკრულება

მასპინძელი სასწავლებელი
..... ქვეყანა

კურსის კოდი (თუ არსებობს) და გვერდის ნომერი საინფორმაციო პაკეტში	კურსის სახელწოდება (საინფორმაციო პაკეტის მიხედვით)	ECTS კრედიტების რაოდენობა
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

საჭიროების შემთხვევაში გააგრძელეთ ჩამონათვალი ცალკე ფურცელზე

სტუდენტის ხელმოწერა
..... თარიღი

სტუდენტის მშობლიური სასწავლებელი

ვადასტურებთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა/სასწავლო ხელშეკრულება დამტკიცებულია ფაკულტეტის/დეპარტამენტის კოორდინატორის ხელმოწერა
.....
სასწავლებლის კოორდინატორის ხელმოწერა
.....
.....
თარიღი

სტუდენტის მასპინძელი სასწავლებელი

ვადასტურებთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა/სასწავლო ხელშეკრულება დამტკიცებულია ფაკულტეტის/დეპარტამენტის კოორდინატორის ხელმოწერა
.....
სასწავლებლის კოორდინატორის ხელმოწერა
.....
.....

..... თარიღი

თარიღი

სტუდენტის გვარი, სახელი

სტუდენტის მშობლიური სასწავლებელი

..... ქვეყანა

ცვლილებები, შეთანხმებული საგანმანათლებლო პროგრამაში / სასწავლო ხელშეკრულებაში
(შეივსოს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში)

კურსის კოდი (თუ არსებობს) და საინფორმაციო პაკეტში გვერდის ნომერი	კურსის სახელწოდება (საინფორმაციო პაკეტის მიხედვით)	გაუქმებული კურსი	დამატებითი კურსი	ECTS კრედიტების რაოდენობა
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

საჭიროების შემთხვევაში გააგრძელეთ ჩამონათვალი ცალკე ფურცელზე

სტუდენტის ხელმოწერა

..... თარიღი

სტუდენტის მშობლიური სასწავლებელი
ვადასტურებთ, რომ ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამა/სასწავლო ხელშეკრულებაში დამტკიცებულია

ფაკულტეტის/დეპარტამენტის კოორდინატორის ხელმოწერა სასწავლებლის კოორდინატორის ხელმოწერა

..... თარიღი

თარიღი

სტუდენტის მასპინძელი სასწავლებელი
ვადასტურებთ, რომ ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამა/სასწავლო ხელშეკრულებაში დამტკიცებულია

ფაკულტეტის/დეპარტამენტის კოორდინატორის ხელმოწერა სასწავლებლის კოორდინატორის ხელმოწერა

.....

..... თარიღი

თარიღი

**ტრანსფერისა და ღაბროფგვის ეპროკული კრედიტების სისტემა
ნიშნების ფურცელი**

სტუდენტის ეგობლიური სასწავლებელი

ფაკულტეტი/დებარტამენტი

ფაკულტეტის/დებარტამენტის კორდინატორი

ტელ. ფაქსი ელ-ფოსტა

სტუდენტის გვარი სახელი

დაბადების თარიღი და ადგილი სქესი

მატრიკულაციის თარიღი მატრიკულაციის ნომერი

სტუდენტის მასკინეკელი სასწავლებლის სახელწოდება

ფაკულტეტი/დებარტამენტი

ფაკულტეტის კორდინატორი

ტელ. ფაქსი ელ-ფოსტა

კურსის კოდი (1)	კურსის სახელწოდება	კურსის ხანგრძლივობა (2)	ადგილობრივი შეფასება (3)	ECTS შეფასება (4)	ECTS კრედიტი (5)
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....	გააგრძელებთ ცალკე ფურცელზე	სრული:

(1) (2) (3) (4) (5) იხილეთ განმარტება ქვევით

მინიჭებული დიპლომი/აკადემიური ხარისხი

.....

თარიღი დეკანის/ადმინისტრაციის წარმომადგენლის ხელმოწერა
სასწავლებლის შტამპი/ბეჭედი

შენიშვნა: დოკუმენტი ძალაში არ არის სასწავლებლის ბეჭდისა და დეკანის/ადმინისტრაციის წარმომადგენლის ხელმოწერის გარეშე.

- (1) კურსის კოდი:
შეესაბამება ECTS-ის საინფორმაციო პაკეტს
- (2) კურსის ხანგრძლივობა:
წ = 1 სრული აკადემიური წელი 2წ = 2 სემესტრი
1ს = 1 სემესტრი 2თ = 2 ტრიმესტრი

1ტ = 1 ტრიმესტრი

(3) სასწავლებლის შეფასების (რანჟირების) სისტემის აღწერა:

.....
.....
.....
.....
.....
.....

(4) ECTS შეფასების სკალა:

ECTS შეფასება	% წარმატებულ სტუდენტთა პროცენტი, რომლებიც ჩვეულებრივ აღწევენ შეფასებას	განმარტება (მხოლოდ ჩაჭრის შემთხვევაში)
A	10	
B	25	
C	30	
D	25	
E	10	
FX	-	FX – კრედიტის მისაღებად დამატებითი მუშაობაა საჭირო
F	-	F – მნიშვნელოვანი მუშაობაა საჭირო

(5) ECTS კრედიტები:

1 სრული აკადემიური წელიწადი = 60 კრედიტი
1 სემესტრი = 30 კრედიტი
1 ტრიმესტრი = 20 კრედიტი



საგანმანათლებლო მოდულის დაბეჭდვის ფორმა
(უნდა შეივსოს მასწავლებლის მიერ)

საგანმანათლებლო პროგრამა:
 მოდულის დასახელება:
 სამიზნე ჯგუფი:
 კურსის დონე:
 მიღების მოთხოვნები:
 ECTS-ის კრედიტების რაოდენობა:
 განსავითარებელი კომპეტენციები:

1.
2.
3.
4.
5.
6.

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საკმეიანობა	შეფასება	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო საათებში

--	--	--	--



საგანმანათლებლო მოდულის დაბეჭდვის ფორმა
(უნდა შეივსოს სტუდენტის მიერ)

საგანმანათლებლო პროგრამა:

მოდულის დასახელება:

სამიზნე ჯგუფი:

კურსის დონე:

მიღების მოთხოვნები:

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა:

განსავითარებელი კომპეტენციები:

1.
2.
3.
4.
5.
6.

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საქმიანობა	შეფასება	სტუდენტის საგარეულო სამუშაო დრო საათებში
